პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 1946 წ. № 188 (7711). ფასი 20 კაპ.

თბილისი

დღეს გაზეთში:

სტალინური ეპოქის დიადი საქმეების მხატვრული ასახვისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ტრიესტის სტატუტი და მთავარი საკითხები — ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე 14 სექტემბერს (1-ლი და მე-2 გვერდი).
კინოფილმ „ფიცის" დიდი წარმატება (1-ლი გვერდი).
საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა (მე-3 გვერდი).
პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-4 გვერდი).
საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვება (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

სტალინური ეპოქის დიადი საქმეების მხატვრული ასახვისათვის

რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა, რომელმაც განიხილა ჩვენი ლიტერატურის უაღრესად აქტუალური საკითხები.

დიდი და ფრიად მნიშვნელოვანია მწერლობის როლი ხალხთა ცხოვრებაში. ლიტერატურა არა მარტო გამოხატავს ცხოვრებას, არამედ იგი ხელს უწყობს სინამდვილის გარდაქმნას, მის გაუმჯობესებას, ზრდის მასებს პატრიოტიზმის სულისკვეთებით. საუკუნეების მანძილზე ქართული ლიტერატურა და მისი საუკეთესო წარმომადგენლები ჩვენს ხალხს შთააგონებდნენ მოწინავე იდეებს, რაზმავდნენ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ზრდიდნენ ახალგაზრდობას მორალური სისპეტაკით, პატრიოტული და გმირული სულისკვეთებით. მაგრამ არასოდეს ისე ფართო, ისე დიდი არ ყოფილა ჩვენი ლიტერატურის როლი და მნიშვნელობა, როგორც ახლა, სტალინურ ეპოქაში.

ქართული საბჭოთა მწერლობა წარმოადგენს ჩვენი მშობლიური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციათა ბუნებრივ გაგრძელებას და განვითარებას. მასში მკაფიოდ არის გამოხატული ხალხთან მჭიდრო კავშირი, ხალხის ინტერესების დაცვა, ხალხისადმი სამსახური. ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე ქართული საბჭოთა ლიტერატურა ამ დროშით მოდიოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიმბოლისტურ-დეკადენტურ და ფორმალისტურ მიდრეკილებებს, რომლებიც ბურჟუაზიული კულტურის ნარჩენებით იკვებებოდნენ. მაგრამ დროთა სვლაში საბჭოთა ლიტერატურა განმტკიცდა, გაძლიერდა, შეიარაღდა ლენინ-სტალინის დიადი მეცნიერული მოძღვრებით, ნამდვილად გახდა ხალხური თავისი ხასიათით, მაღალი იდეურად და მხატვრულად. ბოლშევიკური პარტიის მშობლიურმა ზრუნვამ ლიტერატურისადმი უდიდესი წარმატებანი მოაპოვებინა მას.

განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ჩვენმა მწერლობამ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ვითარებაში. იმ დროს, როცა შავი ფაშისტური ღრუბლები მრისხანედ თავს დასტრიალებდნენ სოციალისტურ სამშობლოს და მოსპობით ემუქრებოდნენ მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხს, ლიტერატურიდან გაისმოდა ვერაგი მტრისადმი სიძულვილის შეუპოვარი ხმა, პატრიოტიზმის მხურვალე სიტყვები, მოწოდება გმირული ბრძოლისაკენ, ჩვენი მართალი საქმის საბოლოო გამარჯვებით შთაგონებული სიმღერები. „ქართველი მწერლები და პოეტები,— როგორც ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ აღნიშნა,—თავიანთი მგზნებარე პატრიოტული ნაწარმოებებით აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს გმირობისათვის, მათს წინაშე აცოცხლებდნენ ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიულ წარსულს".

ჩვენი მწერლობის ამ დამსახურებას ქართველი ხალხი ყოველთვის უდიდესი პატივისცემით მოიხსენიებს. მაგრამ მიღწეულზე შეჩერება, მონაპოვრით თვითკმაყოფილება უცხო და შეუფერებელია ჩვენი ლიტერატურისათვის. ყველამ იცის, რომ ჩვენს „პოეტებს, მწერლებს და მხატვრებს ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ დიდი ტილოები, რომლებიც ღირსეულად ასახავდნენ სამამულო ომის დიად ეპოპეას". ბუნებრივია, აქედან გამომდინარეობს მთელი ქართული მწერლობის, ისე როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის პირველხარისხოვანი ამოცანა: შექმნას სამამულო ომის დიადი ეპოპეის ღირსეულად ამსახველი დიდი ტილოები, გამოხატოს სტალინური ეპოქის დიადი საქმეები.

რა ნაკლოვანებები გვაქვს ამჟამად ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში?

ეს ნაკლოვანებები ნათლად და ღრმად არის დახასიათებული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 და 26 აგვისტოს დადგენილებებში. რა თქმა უნდა, მექანიკურად არავინ ავრცელებს ლენინგრადის ზოგიერთი მწერლის უხეშ შეცდომებს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე, მაგრამ ასევე არავინ არ უნდა ფიქრობდეს, თითქოს ჩვენი მწერლობა თავისუფალი იყოს ნაკლოვანებებისაგან. სიმბოლიზმისა და ფორმალიზმის მავნე ნაშთები ჯერ კიდევ არის დარჩენილი ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში. უფროსი თაობის ზოგიერთი მწერალი ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ ხანდახან ძველი გზითაც შეიძლება სიარული. ამ ბოლო დროს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტერატურულ ორგანოებში — „მნათობში", „ლიტერატურა და ხელოვნებაში" გამოქვეყნებული უიდეო, განყენებულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები, რომლებშიაც სჩანს დაცემულობის განწყობილება, უსაგნო ლირიკისადმი მისწრაფება, მისტიკითა და კლერიკალიზმით გატაცება, მოწმობენ, რომ მწერალთა ერთმა ნაწილმა სწორი გზიდან გადაუხვია. მათ მიბაძა ზოგიერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერალმა. ასეთი არაჯანსაღი განწყობილებისადმი წაყრუება ან შერიგება აშკარა დანაშაული იქნებოდა. ჩვენი ვალია, უპირველეს ყოვლისა ლიტერატურული კრიტიკის ვალია მოურიდებლად ამხილოს ეს ნაკლოვანებები. ამ საქმეში პირადი, მეგობრული ინტერესები, ლიბერალიზმი დაუშვებელია, ვინაიდან „ასეთი ლიბერალიზმი,—როგორც სავსებით სწორად არის აღნიშნული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში, — **რომლის დროსაც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები, ჩვენი ახალგაზრდობის სწორად აღზრდის ინტერესები მსხვერპლად ეწირება მეგობრულ ურთიერთობას და რომლის დროსაც კრიტიკას ახშობენ, იმას იწვევს, რომ მწერლები აღარ მუშაობენ თავიანთ სრულყოფაზე, ჰკარგავენ ხალხის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე, პარტიის წინაშე თავისი პასუხისმგებლობის შეგნებას, წინ აღარ მიიწევენ**".

ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია აგრეთვე ჩვენი ლიტერატურის გადატვირთვა ისტორიული თემატიკით. ყოველი ეპოქის დიდი ლიტერატურა თანამედროვე თემატიკით საზრდოობდა, ისტორიულს კი გამონაკლის შემთხვევაში იყენებდა. თანამედროვეობა ყოველთვის იყო მთავარი, ცენტრალური, წამყვანი თემა ხელოვნებისათვის. ამ ჭეშმარიტების გათვალისწინება და დაცვა სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს თვითეული ნამდვილი შემოქმედისათვის.

თანამედროვე რთული საერთაშორისო ვითარება, მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის პატრიოტული შრომა განსაზღვრავს ჩვენი ლიტერატურის უახლოეს ამოცანებს. ეს ერთნაირად ეხება როგორც პოეზიას, ისე პროზას და დრამატურგიას. ჩვენმა ლიტერატურამ უნდა გვიჩვენოს ახალი ხუთწლედის გრანდიოზული მშენებლობანი, მისი გმირები, მოწინავე ადამიანთა განწყობილებანი, ფიქრები და გრძნობები, ახალ ვითარებაში ახალი ურთიერთობანი.

მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის ბრძოლა შეუძლებელია, თუ გაგვიტაცა მარტოოდენ ფორმამ და უგულებელვყავით შინაარსი. იდეა განსაზღვრავს ფორმას, და არ შეიძლება მხატვრულად ბრწყინვალე იყოს ნაწარმოები, თუ ამავე დროს მისი შინაარსი გაუმართლებელია. ფორმისადმი თვითმიზნური სამსახური უსარგებლო შრომაა, ამასთან დიდი ხნის წინათ გავლილი ეტაპია ჩვენს ლიტერატურაში. მხატვრული სიახლე ყოველთვის განუყრელ კავშირში იყო იდეურ სიახლესთან. საბჭოთა ლიტერატურა სწორედ იმიტომ არის ყველაზე მოწინავე ლიტერატურა მთელ მსოფლიოში, რომ მხატვრულ სიახლესთან ერთად მას იდეური სიახლე ახასიათებს.

ახალი ამოცანები სერიოზულ მუშაობას მოითხოვენ თვითეული მწერლისაგან, მწერალთა კავშირის, მისი სექციებისა და ლიტერატურული ორგანოებისაგან. საჭიროა მწერალთა კავშირში სისტემატურად ეწყობოდეს შემოქმედებითი დისკუსიები, მოხსენებები და ლექციები ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მწერლების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმე; ბოლო მოეღოს არაჯანსაღ, ზოგჯერ ყოვლად გაუმართლებელ და შეუფერებელ დამოკიდებულებას თვით მწერლებს შორის. პრინციპული მიდგომა ერთმანეთისადმი ყველაზე მეტად მოეთხოვებათ მწერლებს, „ადამიანის სულის ინჟინრებს", რომლებიც ასე დიდი პატივით არიან მოსილნი.

ქართული მწერლობა, საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი, შეუჩერებლად მიდის წინ ახალი მწვერვალებისაკენ. ისე, როგორც მთელმა საბჭოთა ლიტერატურამ, მან მხატვრულად უნდა ასახოს სტალინური ეპოქის დიადი საქმეები, შექმნას ჩვენი გმირული დღეების შესაფერი ფართო ეპიური ტილოები. ამით იგი გაამართლებს პარტიისა და ხალხის ნდობას, დიდი **სტალინისა** და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** ნდობას.

საბჭოთა დესპანმა შვეიცარიაში რწმუნების სიგელები გადასცა

ბერნი, 16 სექტემბერი. (საქდესი). დღეს საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა ა. გ. კულაჟენკოვმა რწმუნების სიგელები გადასცა შვეიცარიის პრეზიდენტ კობელტს.

ტრიესტის სტატუტი და მთავარი საკითხები

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე 14 სექტემბერს

ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო დელეგატებო! „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის" სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს დიდი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

თქვენ იცით, რომ ჩვენ გვაქვს საფუძველი ტრიესტის სტატუტის შესამუშავებლად. ეს საფუძველი მოცემულია ოთხი მინისტრის 3 ივლისის გადაწყვეტილებაში. ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის" საზღვრები; აღიარებულია, რომ ტერიტორიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას უზრუნველჰყოფს უშიშროების საბჭო; დადგენილია საერთო პრინციპები, რომლებზეც უნდა მოეწყოს ხელისუფლების ორგანოები.

მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ ტრიესტის სტატუტის შესამუშავებლად არჩეული კომისია ერთ აზრს ვერ დაადგა. ერთის მხრივ, ჩვენ გვაქვს სამი ცოტად თუ ბევრად ერთმანეთთან დაახლოებული პროექტი ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის დელეგაციებისა. მეორე მხრივ, არის ორი სხვა პროექტი, წარმოდგენილნი საბჭოთა და იუგოსლავიის დელეგაციების მიერ, რომლებშიც აგრეთვე ცოტა როდია ერთგვარი მუხლები. კონფერენცია უნდა გაერკვეს ამ პროექტებში და თავისი აზრი გამოსთქვას ტრიესტის სტატუტზე.

შეიძლება სხვადასხვაგვარად მივუდგეთ ტრიესტის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მთელი ეს ტერიტორია დავაყენოთ გაერთიანებული ერების მფარველობის ქვეშ. მაშასადამე, ტრიესტში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის პრინციპები უნდა შეესაბამებოდნენ გაერთიანებული ერების ძირითად მიზნებს.

არ შეიძლება „თავისუფალი ტერიტორია ტრიესტი" განვიხილოთ, როგორც რაღაც სამანდატო ტერიტორია. მით უმეტეს არ შეიძლება ამ ტერიტორიის განხილვა როგორც უშიშროების საბჭოს თავისებური კოლონიისა. მიზანი, რომელიც ჩვენ უნდა დავისახოთ, ნათელია: ტრიესტის მოსახლეობის კეთილდღეობა და კარგი ურთიერთობის დამყარება მეზობლებსა და სხვა ხალხებთან.

თუ არასწორი იქნებოდა თავისუფალი ტერიტორია გაგვეხილა როგორც რაღაც კოლონია ან ნახევარკოლონია, ჩვენ არ უნდა განვიხილოთ იგი აგრეთვე, როგორც სამხედრო ბაზა ამა თუ იმ სახელმწიფოებისა ან თვით უშიშროების საბჭოსათვის. არ შეიძლება ტრიესტის გადაქცევა ვისიმე შეიარაღებული ძალების ახალ ბაზად ბალკანეთში. ეს არ შეესაბამება არც ტრიესტის მოსახლეობის ინტერესებს და არც გაერთიანებული ერების ინტერესებს. ყველა აღიარებს, რომ ტრიესტი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო ნავსადგურია და მან უნდა შეასრულოს თავისი დიდი როლი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება გამომდინარეობს ოთხი მინისტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათაგან. ჩემი ამოცანაა განვმარტო საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისი ამ საკითხზე, განსაკუთრებით სხვა დელეგაციების პროექტებთან დაკავშირებით.

I

ხელისუფლებისა და დემოკრატიის ორგანიზაცია

ტრიესტში ხელისუფლების ორგანიზაციის საფუძვლები—ასეთია პირველი მნიშვნელოვანი საკითხი. ვის ხელში უნდა იქნეს ძალაუფლება ტრიესტში: ხალხის ხელში თუ გუბერნატორის ხელში? ამ საკითხში აღინიშნა აზრთა მთავარი სხვადასხვაობა კონფერენციაზე წარმოდგენილ პროექტებს შორის.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება მყარდება დემოკრატიულ საწყისებზე, მათ შორის საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე". ამრიგად, ნათლად არის ნათქვამი, თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება ტრიესტში. გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ ეს ძალაუფლება უნდა იქნეს ტრიესტის ხალხის ხელში და რომ უნდა მოეწყოს დემოკრატიულ საწყისებზე.

ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია აგრეთვე, თუ რა მდგომარეობა უნდა ეკავოს ტრიესტის გუბერნატორს. იქ ნათქვამია: „გუბერნატორს ნიშნავს უშიშროების საბჭო იუგოსლავიისა და იტალიასთან კონსულტაციის შემდეგ". გარდა ამისა, ნათქვამია, რომ „გუბერნატორი უშიშროების საბჭოს უდგენს ყოველწლიურ მოხსენებებს". ამრიგად, გუბერნატორის ადგილიც სრულიად ზუსტად არის განსაზღვრული.

მიუხედავად ამისა, ინგლისის დელეგაციის პროექტით მთელი ძალაუფლება გუბერნატორის ხელში გადადის. ასეთივე აზრი აქვს ამერიკის პროექტს და მნიშვნელოვანწილად საფრანგეთის პროექტსაც. ამის გასამართლებლად მოყვანილია ყოველგვარი მოსაზრება ტრიესტში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის დაძაბულობის შესახებ. აღნიშნულია, რომ აქ ჯერჯერობით შემოღებულ არ უნდა იქნას დემოკრატიული თვითმმართველობა, რომ დემოკრატიული პრინციპების განხორციელება ამ ტერიტორიაზე გადადებულ უნდა იქნას მომავალი დროისათვის. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის პროექტები მოითხოვენ, რომ ტრიესტის ბატონ-პატრონი იყოს გუბერნატორი, ასეთია ერთი პოლიტიკური დებულება. იბადება კითხვა, ამ თვალსაზრისით სახელდობრ როგორია გუბერნატორის უფლებანი ტრიესტში.

ინგლისის პროექტში დაწვრილებით არის ლაპარაკი ამ უფლებებზე. აქ ნათქვამია, რომ მმართველი საბჭო შესდგება თავმჯდომარის, — გუბერნატორის, გუბერნატორის მოადგილის, ნავსადგურის დირექტორისა და სამი პირისაგან, რომლებსაც თავისუფალი ტერიტორიის ასამბლეა დანიშნავს იმავე გუბერნატორის თანხმობით. ამასთან აღნიშნულია, რომ გუბერნატორი, გუბერნატორის მოადგილე და ნავსადგურის უფროსი არ უნდა იყვნენ არც ტრიესტის მოქალაქეთაგან და არც იუგოსლავიისა და იტალიის მოქალაქეთაგან, არამედ სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეთაგან. ამრიგად, ნავარაუდევია, რომ ტრიესტის მთავრობა სანახევროდ უცხოელთაგან შესდგებოდეს. შემდეგ ინგლისის პროექტში ნათქვამია, რომ გუბერნატორი ინარჩუნებს პასუხისმგებლობას საგარეო ურთიერთობისათვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამყარებისათვის, რომ მას უფლება აქვს დაითხოვოს სამართველო საბჭოს წევრები და რეკომენდაცია მისცეს ასამბლეას დანიშნოს სხვები.

გარდა ამისა, იქ ნათქვამია, რომ ყველა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის დანიშვნა და დათხოვნა ხდება გუბერნატორის განკარგულებით, რომ მას შეუძლია დაითხოვოს სასამართლო ორგანოების წევრები. რომ გუბერნატორს უფლება აქვს შეაჩეროს ყოველგვარი კანონის მოქმედება, გააუქმოს ყოველგვარი ადმინისტრაციული განკარგულება და გამოსცეს კანონის ძალის მქონე ბრძანებანი. გუბერნატორს აგრეთვე რწმუნება ეძლევა დასდოს შეთანხმებანი სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმებანი და სხვა. როგორც ხედავთ, ინგლისის პროექტის თანახმად, ძალაუფლება მთლიანად გუბერნატორს ენიჭება. დაახლოებით იგივეა ნათქვამი როგორც ამერიკის, ისე საფრანგეთის პროექტებში.

იბადება კითხვა, რა იყო ნიმუში ამგვარი პროექტების შესამუშავებლად?

ამასთან დაკავშირებით უდავო ინტერესს წარმოადგენს მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება შევხვდეთ ბრიტანეთის კოლონიებში. აქ გუბერნატორებს ამგვარივე უფლებები აქვთ მინიჭებული.

მაგალითად, ინდოეთში გენერალ-გუბერნატორი, იგივე ვიცე-მეფე, თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს სხდომებზე, როდესაც კი მოისურვებს, ხოლო თვით მინისტრებს იგივე გენერალ-გუბერნატორი ნიშნავს. გენერალ-გუბერნატორზეა დამოკიდებული, დაეთანხმება თუ არა ამათუიმ ბილს (კანონს), ამასთან გენერალ-გუბერნატორს შეუძლია გამოაქვეყნოს ყოველგვარი ბრძანებულება, რომელსაც, მისი აზრით, მოითხოვენ არსებული გარემოებანი. პოლიცია და უშიშროების ორგანოები ინდოეთის გენერალ-გუბერნატორის ხელშია. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ასეთივე უფლებანი მინიჭებული აქვთ გუბერნატორებს ინდოეთის ცალკე პროვინციებში.

ავიღოთ სხვა მაგალითი. დასავლეთ აფრიკაში არის ბრიტანეთის კოლონია ოქროს ნაპირის სახელწოდებით. ოქროს ნაპირის გუბერნატორს უფლება აქვს დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს ადგილობრივი საკანონმდებლო საბჭოს გადაწყვეტილება. ის ახორციელებს კოლონიის ადმინისტრაციის უმაღლეს ხელმძღვანელობას. მას შეუძლია დაითხოვოს მოხელეები, თუ ისინი დანიშნული არ არიან მეფის მიერ. კოლონია ოქროს ნაპირის აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც ადგილობრივი მთავრობის როლს ასრულებს, გუბერნატორი თავმჯდომარეობს და, აქვე უნდა ითქვას, ეს საბჭო აგრეთვე შესდგება ექვსი კაცისაგან, როგორც ეს ნავარაუდევია ტრიესტის სამმართველო საბჭოსათვის.

ყოველივე აქედან სჩანს, რომ ტრიესტში გუბერნატორის მდგომარეობა ემსგავსება ინდოეთის გენერალ-გუბერნატორის მდგომარეობას ან აფრიკის ოქროს ნაპირის კოლონიის გუბერნატორის მდგომარეობას. საკითხავია, შესაფერისია თუ არა ასეთი მდგომარეობა „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიისათვის". რა გამოვა, თუ ჩვენ ასეთ უფლებებს მივანიჭებთ გუბერნატორს ტრიესტში. განა **თავისუფალი** ტერიტორიის ნაცვლად არ გამოგვივა რაღაც **საგუბერნატორო** ტერიტორიის მაგვარი, თავისუფალი ტრიესტის ნაცვლად—საგუბერნატორო ტრიესტი? მე მგონია, რომ ეს საფრთხე არსებობს. ბუნებრივია, საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგია იმისა, რომ ბრიტანეთის კოლონიების მმართველობის გამოცდილება გადატანილ იქნას ტრიესტზე.

არასწორი იქნება, თუ ჩვენ ტრიესტის მიმართ გამოვიყენებთ ლორდ კერზონის დებულებებს ინდოეთის შესახებ. ჩვენ არ შეგვიძლია მივემხროთ ასეთ პოლიტიკურ დებულებას. ჩვენთვის უცხოა აგრეთვე იდეები სესილ როდსისა, „სამხრეთ აფრიკის კავშირის" ცნობილი ორგანიზატორისა, რომელიც ასე ამბობდა: „ადგილობრივ მცხოვრებს უნდა მოეპყრო როგორც ბავშვს და არ შეიძლება მას მისცე საარჩევნო უფლებანი ისევე, როგორც ალკოჰოლი. ჩვენ უნდა განვახორციელოთ დესპოტიზმის სისტემა, იმის მსგავსი, რომელმაც ასეთი კარგი შედეგები მოგვცა ინდოეთში". ასეთი მონათმფლობელური იდეოლოგიით ტრიესტში შესვლა არ შეიძლება. საბჭოთა დელეგაციას სურს, რომ ეს ყველა ჩვენთვის გასაგები გახდეს.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ბრიტანეთის დელეგაციის წინადადება არ შეესაბამება დემოკრატიზმის ელემენტარულ პრინციპებს.

აქ გამოსულმა ბრიტანეთის დელეგატმა სთქვა, რომ იგი სათანადოდ აფასებს საბჭოთა პროექტის იდეოლოგიურ მიმზიდველობას, მაგრამ თითქოს ეს პროექტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრიესტის რეალურ სინამდვილეში. მაგრამ ეს მას არ დაუმტკიცებია და, მე მგონია, რომ ვერ შესძლებდა ამის დამტკიცებას. მეორე მხრივ, საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია დაეთანხმოს რომ ის პრინციპები, რომლებსაც ბრიტანეთის იმპერია ინდოეთში და ოქროს ნაპირზე ახორციელებს, შესაფერისი იყოს ტრიესტისათვის.

ჩვენ სრულიადაც არ ვიძლევით წინადადებას გატარებულ იქნას საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპები ტრიესტში, თუმცა ჩვენი ქვეყნის გამოცდილებით ამ პრინციპებმა, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი და, შეიძლება ითქვას, შესანიშნავი შედეგები მოგვცეს. საბჭოთა დელეგაციის აზრით, ამ პრინციპების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური განვითარების გარკვეულ დონეზე, როდესაც ეს იქცევა ხალხის ნამდვილ საარსებო საჭიროებად. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემოკრატიზმის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპები, რომლებიც ახლა ესოდენ ძლიერ განვითარდნენ ევროპის ქვეყნებში, შეიძლება ხელსაყრელად იქნეს გამოყენებული ტრიესტშიც. ასეთია ჩვენი დებულება.

რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა განვასხვაოთ მდგომარეობა, როგორც იგი იქმნება ცალკე ქვეყნებში.

მაგალითისათვის ავიღოთ ორი მეზობელი ქვეყანა: საბერძნეთი და ბულგარეთი, სადაც სულ უკანასკნელ დღეებში პლებისციტის გზით წყდებოდა საკითხი მონარქიის ბედის შესახებ.

ცნობილია, თუ როგორ ხდებოდა ეს. ერთ შემთხვევაში—საბერძნეთში წყდებოდა მონარქიის აღდგენის საკითხი. ამასთან ამოძრავებულ იქნა ზეგავლენის მთელი საშუალებანი საშინაო ორგანოებისა და გარეშე ძალების მხრივ, და საბერძნეთში შექმნილი იყო ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც არაფერი, გარდა პლებისციტის გაყალბებისა, არ შეიძლებოდა გამოსულიყო. ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვა ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო. სხვა საქმეა ბულგარეთში. ყველა აღიარებს, რომ იქ ნორმალურ პირობებში ჩატარდა თავისუფალი პლებისციტი, რომელიც საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ამ პლებისციტში მონაწილეობდა მთელი მოსახლეობა, რომელმაც ერთსულოვნად გამოსთქვა აზრი მონარქიის ლიკვიდაციისა და ბულგარეთში რესპუბლიკის დამყარების სასარგებლოდ.

ორი ქვეყნის შედარებით, ჩვენ ვხედავთ, რომ ბულგარეთში დამყარებულია რესპუბლიკა ისეთი გზით, რომელიც მთლიანად შეესაბამება დემოკრატიზმის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და, მეორე მხრივ, საბერძნეთში ხდება მონარქიის აღდგენა ისეთი საშუალებებით, რომლებთაც საერთო არაფერი აქვთ დემოკრატიზმის პრინციპებისადმი პატიოსნურად მოპყრობასთან. რა თქმა უნდა, ცუდ მაგალითებს არ უნდა მივბაძოთ. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ახლა ჩვენ საკმაო ფაქტები გვაქვს დემოკრატიზმის პრინციპების ისეთი გატარებისა, რომელიც უჩვენებს გზას ტრიესტის რეალურ პოლიტიკურ პირობებში დემოკრატიზმის განსახორციელებლად.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

კინოფილმ „ფიცის" დიდი წარმატება

სოხუმის კინოთეატრებში ფილმი „ფიცი" ათ სეანსზე უკვე ნახა 10.500-ზე მეტმა კაცმა.

ყველა სეანსს დიდძალი ხალხი ესწრება. სალაროებთან დიდი რიგებია. კოლექტიური განცხადებები განუწყვეტლივ შემოდის. ახლო სოფლების კოლმეურნეთა და ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივების განაცხადთა და შეკვეთების დაკმაყოფილება უახლოეს დღეების სეანსებზეც შეუძლებელია.

სოხუმის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები, დემობილიზებულები, მასწავლებლები, ექიმები და ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები, ვინც უკვე ნახა „ფიცი", აღტაცებული არიან ამ კინოსურათით.

„ფიცი" მოძრავი დანადგარით სოხუმიდან იგზავნება შორეულ სოფლებსა და კოლმეურნეობებში. პირველად იგი მიიღეს მეშახტეთა ქალაქის —ტყვარჩელის მშრომელებმა, სადაც ამჟამად დიდი წარმატებით უჩვენებენ მას.

* * *

ბათუმის კინოთეატრებში დიდი წარმატებით უჩვენებენ კინოფილმ „ფიცს". 7 დღის განმავლობაში სამ კინოთეატრში ფილმი ნახა 15.000 კაცმა.

პურის ქარხნის, საქნერგის მესამე რაიონის, ტყავეულობის ქარხნის, ახალშენის საბჭოთა მეურნეობისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ფილმი კოლექტიურად ნახეს. (საქდესი).

აჭარის შაქრის ქარხანა არადამაკმაყოფილებლად ემზადება სეზონისათვის

25 სექტემბრიდან აჭარის შაქრის ქარხანა გადასამუშავებლად მიიღებს ახალი მოსავლის ჭარხალს. გეგმით წელს აქ 840 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი უნდა გადაამუშაონ, ფაქტიურად კი ერთ მილიონ ცენტნერ ჭარხალს მოელიან. სამწუხაროდ, ქარხანა მომზადებული ვერ ხვდება სეზონს.

შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტები მოუწყობელია. ჭარხლის გადასაფარავად საჭიროა 50 ათასი კვადრატული მეტრი ჭილობები. 14 სექტემბრისათვის დამზადებული იყო მხოლოდ 18 ათასი კვადრატული მეტრი. ნედლ მასალას ჭილობების დასამზადებლად ახლა დაეძებენ. არც მუშახელის საკითხს ექცევა ყურადღება. მიმღები პუნქტებისათვის აკლიათ 250 მტვირთავი მუშა. ამ საქმეში ქარხანას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომები ჯეროვან დახმარებას არ უწევენ.

ვიწრო უბანია ტრანსპორტის საკითხიც. შაქრის ჭარხლის გადასაზიდავად დასჭირდებათ 200-მდე ავტომანქანა, დღემდე კი ქარხნისათვის არცერთი ავტომანქანა არ არის გამოყოფილი.

არც თვით ქარხანაა ყოველმხრივ მომზადებული. ორთქლის მექვსე ქვაბის შეკეთება ჭიანურდება. ქარხანას გეგმით უნდა ჰქონდეს 20.400 ტონა ნახშირი, 6 სექტემბრისათვის კი მიღებული ჰქონდა მხოლოდ 9.150 ტონა. აქ აკლიათ აგრეთვე 3.000 ტონა კირი. შესაკეთებელია შაქრის ჭარხლის გადამამუშავებელი ელევატორი. შეუფერხებელი მუშაობისათვის ქარხანას 2.000 ელენთურა ესაჭიროება, რაც ჯერ არა აქვს.

აჭარის შაქრის ქარხნის დირექციას, მთელ კოლექტივს მოეთხოვება გამოასწორონ ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ შაქრის ჭარხლის შეუფერხებლად გადამუშავება.

ტრიესტის სტატუტი და მთავარი საკითხები

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე 14 სექტემბერს

(დასასრული)

ტრიესტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ტრიესტში 300 ათასამდე მცხოვრებია, რომლებიც მიეჩვივნენ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას და შეუძლიათ დააფასონ პოლიტიკური, პროფესიული, კულტურული და დემოკრატიული ტიპის სხვა ორგანიზაციების როლი. არ შეიძლება ტრიესტში შევიდეთ ისეთი სტატუტით, რომელიც უგულებელჰყოფს სახელმწიფოებრივი მოწყობის დემოკრატიულ პრინციპებს. ანტიდემოკრატიული სტატუტი არ გამოიწვევს ჩვენთვის სასურველ დამშვიდებას, არამედ საწინააღმდეგო შედეგებამდე მიგვიყვანს. ჩვენ უკვე დიდიხანია XX საუკუნეში ვცხოვრობთ და უნდა ვაღიაროთ, რომ დემოკრატიზმი ხალხთა საარსებო მოთხოვნილება გახდა.

მართალია, ზოგიერთებს უფრო მოსწონთ XIX საუკუნის დემოკრატიზმი და მათ არა სურთ აღიარონ ჩვენს დროს დემოკრატიზმის განვითარებაში უკვე დამყარებული ახალი და მეტად მნიშვნელოვანი გზების მეტად პროგრესული მნიშვნელობა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ XIX საუკუნის დემოკრატიზმი დიდი პროგრესი იყო და ცნობილია მისი დადებითი როლი დესპოტიზმის წინააღმდეგ, ისე როგორც ჩვენს დროს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. XIX საუკუნის მანძილზე მთელ რიგ ქვეყნებში განვითარდა საპარლამენტო ტიპის დემოკრატიზმი, რაც დიდი ნაბიჯი იყო წინ სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაში. მაგრამ საარჩევნო კამპანიების გარეშე და პარლამენტის კედლების გარეთ ამ დემოკრატიზმმა ვერ ჰპოვა ფართო განვითარება. ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ მეტად შეზღუდული იყო.

ჩვენს დროში, რადიოს, გაზეთებისა და კინოს დროში, როდესაც ამასთანავე არსებობენ მასობრივი პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და როდესაც არაიშვიათად ეკლესიაც კი იღებს უაღრესად ფართო მონაწილეობას პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში, დემოკრატიზმმა სრულიად სხვა სახე მიიღო. ამჟამად პოლიტიკურ ცხოვრებაში ებმებიან მთელი ხალხი, მილიონობით მასები. არა მარტო საარჩევნო კამპანიების პერიოდში, არამედ ყოველდღიურადაც ხალხის ფართო მასები ამჟამად მონაწილეობენ თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და აქტიურად ეხმაურებიან საერთაშორისო ხასიათის მოვლენებს. რადიოს, ყოველდღიური პრესისა და მასობრივი განათლების ბევრი სხვა ფორმის დიდ წარმატებებთან ერთად დემოკრატიზმი და მისი განხორციელების ფორმები ჩვენს დროში სწრაფად ვითარდებიან. ტრიესტი მდებარეობს ევროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პუნქტში და ყოველივე ეს შეიძლება სავსებით გამოყენებულ იქნას მის მიმართ. ჩვენ ვერ გაგვიგებენ, თუ იმ აზრს დავადგებით, რომ უარი უნდა ვთქვათ ტრიესტში დემოკრატიზმის პრინციპების განხორციელებაზე. აქედან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ტრიესტის სახელმწიფოებრივი მოწყობა საჭიროა განხორციელდეს დემოკრატიულ საფუძვლებზე. ტრიესტი არ შეიძლება დარჩეს დიდი გზის განზე, ევროპის ქვეყნებში დემოკრატიზმის განვითარების განზე. თუ კარგად დავუკვირდებით იმას, რაც ყველა ჩვენთვის მისაღებია ევროპის თანამედროვე დემოკრატიულ ფორმებში, ჩვენ უთუოდ ბევრ კარგ და გამოსაყენებელ რამეს დავინახავთ თავისუფალი ტერიტორიისათვის. და მაშინ ჩვენ უარს ვიტყვით იმაზე, რომ აქ გადმოვიტანოთ კოლონიების გუბერნატორთა ძალაუფლების პრინციპები, და ავიღებთ იმას, რაც სასარგებლოა, და იმას, რაც პრაქტიკულად გამოსაყენებელია დღევანდელ პირობებში ტრიესტის დემოკრატიული განვითარებისათვის.

აი რატომ გამოვთქვამთ ჩვენ აზრს ბრიტანეთის დელეგაციის მიერ შემოტანილი პროექტის წინააღმდეგ, რომელიც რამდენადმე მოგვაგონებს კოლონიურ რეჟიმს, და ბუნებრივად ვთვლით, რომ თავისუფალი ტერიტორია მოწყობილ უნდა იქნას დემოკრატიზმის საფუძვლებზე, ამასთან ეს საქმე დიდი ხნით არ უნდა გადავდოთ. ტრიესტის ხალხს შესაძლებლობა უნდა ექნეს მართლაც თავისუფლად ისუნთქოს და ისარგებლოს ყველა უფლებით, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებში,—და მხოლოდ მაშინ ყველასათვის გასაგები იქნება ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება თავისუფალი ტერიტორიის შექმნის შესახებ.

ტრიესტის სტატუტში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოქალაქეობის საკითხს. საბჭოთა დელეგაციას სწორად მიაჩნია იუგოსლავიის წინადადება, რომელიც ამ შემთხვევაში მიმართულია ტრიესტში ფაშიზმის ყოფილი აქტიური მოღვაწეების წინააღმდეგ. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენ ყველანი ვაღიარებდით, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ფაშიზმის ნაშთებს. თუ ეს ასეა, მაშინ ფაშიზმის აქტიურ მოღვაწეებსა და მათს დაქირავებულ აგენტებს არ უნდა მიეცეთ მოქალაქეობის უფლება ტრიესტში.

II

საერთაშორისო ურთიერთობა და ვეტოს უფლება

იმ წინადადებებმა, რომლების მომზადებაც ჩვენ ვიკისრეთ, ახალი ადგილი უნდა მისცენ ტრიესტს საერთაშორისო ურთიერთობაში.

ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ აღიარა, რომ ტრიესტი თავისუფალი საერთაშორისო ნავსადგური უნდა იყოს. ტრიესტმა დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საერთაშორისო ვაჭრობაში, და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ჩვენ მიერ გამომუშავებულმა წინადადებებმა ხელი შეუწყონ ამას. ცხადია, ეს უნდა გაკეთდეს არა თვით ტრიესტის მოსახლეობის ინტერესთა ხარჯზე, არამედ, პირიქით, ამ ინტერესების გათვალისწინებით.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდეთ ტრიესტის ურთიერთობაზე მეზობლებთან—იუგოსლავიასა და იტალიასთან. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ტრიესტის ნავსადგურში სპეციალური თავისუფალი ზონები იყოს ორივე მეზობელი სახელმწიფოსათვის. ამასთან არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ტრიესტი განსაკუთრებით დაინტერესებულია ურთიერთობის განვითარებით იუგოსლავიასთან, რომელიც მისი მთავარი ჰინტერლანდი, სამეურნეო ზურგია. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა დელეგაციას სწორად მიაჩნია წინადადება იუგოსლავიასთან ტრიესტის საბაჟო უნიის შესახებ, აგრეთვე ტრიესტის რკინიგზების იუგოსლავიასთან ერთობლივი მმართველობის დამყარება. ასეთ მდგომარეობაში შეიქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ტრიესტის ეკონომიური აღმავლობისა და მთელი საერთაშორისო ვაჭრობისთვის.

ერთ-ერთი გამოსული დელეგატი ამასთან დაკავშირებით შიშს გამოსთქვამდა, ხომ არ მოამზადებს ეს ნიადაგს თავისუფალი ტერიტორიის იუგოსლავიაში შეტანისთვისო. მაგრამ ეს შიში არაფრით არ იყო დასაბუთებული. ყოველ შემთხვევაში, თავისუფალ ტერიტორიას რომ ვქმნით, ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ მისი გეოგრაფიული მდებარეობა და მისი მჭიდრო ეკონომიური კავშირის აუცილებლობა განსაკუთრებით ისეთ მეზობელთან, როგორიც არის იუგოსლავია. თავისუფალი ტერიტორიის ინტერესებისათვის ზრუნვა მოითხოვს ასეთ გადაწყვეტილებას, და ჩვენ ამ გზას უნდა დავადგეთ.

გადავდივარ საკითხზე საერთაშორისო ურთიერთობაში ტრიესტის პოლიტიკური ადგილის შესახებ.

ოთხი მინისტრის წარმომადგენლების მიერ შემოტანილი ყველა პროექტი შეიცავს წინადადებას ტრიესტის დემილიტარიზაციის შესახებ. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა პროექტშია ნათქვამი, რომ თავისუფალი ტერიტორია ნეიტრალურიც უნდა იყოს. ნეიტრალობის აღიარება ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე არ იქნება არავითარი შეიარაღებული ძალა—არც საშინაო და არც უცხოეთისა. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ კონფერენციამ მხარი უნდა დაუჭიროს ასეთ წინადადებას.

ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ტრიესტიდან უცხოეთის ჯარების განსაზღვრულ ვადაში გამოყვანის შესახებ. მაგრამ წარმოდგენილ პროექტებში ამაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. საბჭოთა დელეგაციას კი შეუძლებლად არ მიაჩნია გვერდი ავუაროთ ასეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მემორანდუმში ხაზგასმით არის აღნიშნული, უშიშროების საბჭოს უნდა ჰქონდეს საჭირო საშუალებანი თავისუფალი ტერიტორიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ამასთან მოკრძალებული დუმილით უვლიან გვერდს იმას, თუ რა „საჭირო საშუალებებზეა“ ლაპარაკი. ჩემს მიერ შეერთებული შტატების წარმომადგენლისათვის მიცემულ შეკითხვებზე აქ აგრეთვე არ მიგვიღია დამაკმაყოფილებელი პასუხი. მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „საჭირო საშუალებებში“ ამ შემთხვევაში შეიძლება შეიარაღებული ძალებიც იგულისხმებოდეს. და თუ ეს მართლაც ასეა, საბჭოთა დელეგაცია ვერ დაეთანხმება შეერთებული შტატების წინადადებას. ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ შეიარაღებული ძალების ყოფნა თავისუფალ ტერიტორიას სამხედრო ბაზად გადააქცევს. ეს მოხდება იმ შემთხვევაშიც, რომ ეს შეიარაღებული ძალები ფორმალურად დაქვემდებარებულ იქნან უშიშროების საბჭოსადმი. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მიღებული იყო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ტრიესტი თავისუფალი საერთაშორისო ნავსადგური იყოს. მაგრამ ჯერ კიდევ არავის შესაძლებლად არ მიაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ ტრიესტი რაიმე შეიარაღებული ძალების ბაზა უნდა გახდეს. საბჭოთა დელეგაცია იქიდან გამოდის, რომ არათუ არავითარმა ცალკე სახელმწიფომ, არამედ უშიშროების საბჭომაც არ უნდა გადააქციოს თავისუფალი ტერიტორია სამხედრო ბაზად, ვინაიდან ეს სრულიად ახალ და მასთან სრულიად არასასურველ ხასიათს მისცემს მთელ საკითხს ტრიესტის შესახებ.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებულია, რომ ამ ორგანიზაციის წევრებმა გარკვეულ შემთხვევებში უშიშროების საბჭოს უნდა გადასცენ მშვიდობის დასაცავად საჭირო შეიარაღებული ძალები. წესდების აზრის მიხედვით აქ მხედველობაში მიღებულია ისეთი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აგრესიის თავიდან აცილებასთან ან აგრესიული სახელმწიფოს გამოსვლის ჩახშობასთან. ამასთან გათვალისწინებულია, რომ ამგვარი შემთხვევისათვის უნდა დაიდოს სპეციალური შეთანხმებანი უშიშროების საბჭოსა და ორგანიზაციის წევრებს შორის. მაგრამ ყოველივე ეს არავითარ საფუძველს არ იძლევა, რომ თავისუფალ ტერიტორიაზე შეყვანილ იქნან რომელიმე სახელმწიფოს ან უშიშროების საბჭოს შეიარაღებული ძალები და რომ ფაქტიურად ეს ტერიტორია სამხედრო ბაზად გადაიქცეს. ამგვარმა ცდებმა ჩვენ შორის მხარდაჭერა არ უნდა ჰპოვონ.

უშიშროების საბჭოსთან თავისუფალი ტერიტორიის ურთიერთობის საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით უშიშროების საბჭო უზრუნველჰყოფს თავისუფალი ტერიტორიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, ნიშნავს გუბერნატორს და, ბოლოს, გუბერნატორისაგან იღებს ყოველწლიურ მოხსენებებს.

გუშინ ავსტრალიის დელეგაციამ გაილაშქრა ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, უშიშროების საბჭო ამ ამოცანებს თავს ვერ გაართმევსო. ავსტრალიის დელეგაციამ ვერავითარი სხვა საყურადღებო წინადადების წამოყენება ვერ შესძლო, მაგრამ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭო ვეტოს უფლებით, რაც მინიჭებული აქვს მის მუდმივ წევრებს, მუშაობის უნარის მქონე ორგანო არ არის და ამიტომ მას ზემოთ აღნიშნული რწმუნებები არ უნდა მივანდოთო.

ამრიგად, ავსტრალიის დელეგაციამ კვლავ გამონახა შემთხვევა, რომ დაჰგმოს, გააბიაბრუოს და ლაფში ამოსვაროს ვეტოს უფლება, რომელიც მინიჭებული აქვთ უშიშროების საბჭოს გარკვეულ წევრებს. ამის გამო შეიძლებოდა გვეთქვა: „ყველა ჭაში რომ ჩააფურთხო, წყლის დალევა სადღა გინდა“. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ ასეთ პასუხს დავჯერდეთ ვეტოს უფლების საკითხზე, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს ხდება სულ ახალ-ახალი თავზეხელაღებული გამოსვლები ვეტოს წინააღმდეგ, რომლებსაც ჯეროვან წინააღმდეგობას არ უწევენ ორგანიზაციის ის წევრებიც კი, რომლებიც წესდების ავტორები იყვნენ. თუ შემდეგში ასე გაგრძელდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი პატივისცემას ძირი გამოეთხრება.

სახელდობრ რა სურს ავსტრალიის დელეგაციას, უშიშროების საბჭოში ვეტოს წინააღმდეგ რომ ილაშქრებს, და ესმის თუ არა მას, რას იწვევს ეს?

სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე პირველად დაარსდა საერთაშორისო ორგანიზაცია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის სერიოზული ამოცანებით. ეს ორგანიზაცია აგებულია საყოველთაო მშვიდობის დაცვის მიზნით ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებაზე. ამ ორგანიზაციის მთავარი და პრინციპული ელემენტია სწორედ ვეტოს უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ხუთ დიდ სახელმწიფოს უშიშროების საბჭოში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად ვეტო იმას ნიშნავს, რომ ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხში, რომლებიც მშვიდობის ინტერესებს შეეხება, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საბჭოთა კავშირმა, საფრანგეთმა და ჩინეთმა შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ და უშიშროების საბჭოს არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი ისეთ საკითხებზე, რომლებსაც ამ სახელმწიფოთაგან თუნდაც ერთი არ ეთანხმება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვეტო ხელს უშლის იმას, რომ ორი ან სამი სახელმწიფო ანდა ოთხიც კი ერთმანეთს შეუთანხმდეს და ხუთი მთავარი სახელმწიფოდან ამათუიმ სახელმწიფოს წინააღმდეგ იმოქმედოს. ვეტო სტიმულს აძლევს დიდ სახელმწიფოებს ერთობლივი მუშაობისათვის, აძნელებს ერთის ინტრიგებს მეორის წინააღმდეგ, რაც, უეჭველია, შეესაბამება ყველა გაერთიანებული ერის ინტერესებს და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს. ცხადია, ამით არ ისპობა არსებული უთანხმოება და დავა, მაგრამ ამ სადავო საკითხების თავისუფალი და ღია განხილვა ვეტოს არსებობის პირობებში ბოლოსდაბოლოს უზრუნველჰყოფს საუკეთესო გზას ურთიერთგაგებისა და დათმობებისაკენ, თანამშრომლობისა და შეთანხმებებისაკენ. ამრიგად, ვეტო მიმართულია იქითკენ, რომ დიდ სახელმწიფოთა მოქმედება სასარგებლო იყოს ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსათვის—როგორც დიდის, ისე მცირისათვის.

ერთა ლიგაში დიდ სახელმწიფოებს ვეტოს უფლება არ ჰქონდათ. ლიგა ფორმალურად აგებული იყო დიდ და მცირე სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე. ისინი, ვინც ახლა ვეტოს გაუქმების სასარგებლოდ გამოდიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან უკან გვეწევიან ერთა ლიგის მსგავსი რაღაცისაკენ. მაგრამ სწორედ ამით განისაზღვრება ამ გამოსვლების პოლიტიკური აზრიც.

მომიხდება ზოგიერთი რამ მოგაგონოთ ომისწინა წლების ამბების შესახებ.

ერთა ლიგა 1914-18 წლების მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. ეს საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის პირველი ცდა იყო, მაგრამ იგი არ შეიძლება წარმატებითად ჩაითვალოს. სინამდვილეში ერთა ლიგამ არსებითი როლი ვერ შეასრულა მშვიდობის საქმის დაცვაში. ერთა ლიგა ვერ გახდა ქმედითი ორგანიზაცია ხალხთა უშიშროების დაცვაში, მან ინგლის-საფრანგეთის იმ დაჯგუფების ქვეყნების უშიშროებაც კი ვერ დაიცვა, რომელსაც გაბატონებული გავლენა ჰქონდა ამ პირველ საერთაშორისო ორგანიზაციაში. ჩვენ ვიცით, თუ როგორ დამთავრდა ეს.

თავისი უძლურება მშვიდობის დაცვის საქმეში ერთა ლიგამ თვალსაჩინოდ ცხადჰყო იმ მომენტში, როცა ომის ქარიშხალი მოახლოვდა. მაშინ საკითხის გადაწყვეტა გადატანილ იქნა ჟენევიდან მიუნხენში, როგორც ეს აგრესორმა მოითხოვა. მიუნხენის სირცხვილი იმაში მდგომარეობს, რომ აქ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ერთა ლიგაში, აღიარეს თავიანთი უძლურება მშვიდობის საქმის დაცვაში და აგრესორს შეუთანხმდნენ, რაც გააკეთეს სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ზურგს უკან და მათი ინტერესების ხარჯზე, რამაც მხოლოდ წააქეზა აგრესორი მისი სამხედრო ავანტიურების გეგმებში. მიუნხენმა მიგვიყვანა ახალ მსოფლიო ომთან და დამაჯერებლად ცხადჰყო, რომ, თუ არ არის ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ერთიანი ფრონტი, შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა აგრესიისათვის, შეუძლებელია მშვიდობის საქმის დაცვა.

უკანასკნელი ომის მსვლელობაში ჩამოყალიბდა დიდ სახელმწიფოთა ბლოკი, რომელნიც სათავეში ჩაუდგნენ დემოკრატიულ ქვეყნებს და გაანადგურეს აგრესორი დასავლეთსა და აღმოსავლეთში. ამის შემდეგ საჭიროდ იქნა ცნობილი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა. გაჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აგრეთვე უშიშროების საბჭო და ვეტოს უფლება. ეს იყო ცდა ბოლოსდაბოლოს შექმნილიყო ქმედითი ორგანიზაცია საყოველთაო უშიშროების უზრუნველსაყოფად. სწორედ ვეტო ასრულებს აქ მთავარ როლს. ვეტოს პრინციპი ყველა დიდი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ყურადღებას მათი საერთო ინტერესებისადმი და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისადმი, აძნელებს ერთ წყება სახელმწიფოთა ვიწრო ბლოკებისა და დაჯგუფებების შექმნას სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ და მეტადრე აძნელებს ვინმეს გარიგებებს აგრესორთან მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ზურგს უკან და მათი ინტერესების წინააღმდეგ.

რას შეიძლება მოასწავებდეს ვეტოს უფლებაზე უარის თქმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში? ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ხელფეხს გაუხსნის ზოგ ვინმეს გარკვეული მოქმედებისათვის. ვეტოს უფლებაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, გააადვილებს ვიწრო დაჯგუფებებისა და ბლოკების შექმნას დიდ სახელმწიფოთა შორის და, ყოველ შემთხვევაში, ხელ-ფეხს გაუხსნის იმათ, ვინც მშვიდობის საქმის დაცვაში გაერთიანებული ერების ერთიანი ფრონტის მოწინააღმდეგეა. მაგრამ ეს გზა ჩვენ უკვე გამოვცადეთ. ამ გზით ჩვენ მეორე მსოფლიო ომამდე მივედით. ეს არაფერს გვიქადის, გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამარცხვინო კრახისა.

ასეთი გეგმები მხოლოდ რეაქციული წრეების სურვილებს შეესაბამება და ხელს უწყობს მხოლოდ ალვირახსნილი იმპერიალისტების ბანაკს. ისინი როდი მალავენ, რომ მათთვის სამძიმოა საბჭოთა სახელმწიფოსთან თანამშრომლობა. ამ წრეებში, რა თქმა უნდა, ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ შეუდგნენ ახალ-ახალი ანტისაბჭოთა პროექტების შეთითხნას. მაგრამ ჩვენს წინაშეა ერთა ლიგის დაუვიწყარი გამოცდილება. მან სცადა დაეცვა მშვიდობა საბჭოთა კავშირის გვერდის ავლით და პირდაპირ საბჭოთა კავშირის ინტერესთა ხარჯზეც კი. აქედან კარგი არაფერი გამოვიდა. საბჭოთა კავშირის უგულებელყოფა, მშვიდობის საკითხებში მისი მხარდაჭერის მნიშვნელობის დავიწყება — ჩვენს დროში საშიშია. ამ გზაზე დადგომა შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვინც საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის ნაცვლად ამჯობინებს თავისი ვარაუდები ააგოს მომავალ აგრესორთან გარიგებასა და შეთანხმებებზე, რასაც, ცხადია, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებთან საერთო არა აქვს რა. ასეთი ვარაუდები უკვე გაცამტვერებულია. ისინი კვლავ გაცამტვერდება, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დროულად ვუჩვენოთ ხალხებს ამ ვარაუდების მხეცური იმპერიალისტური არსი და მათი შეუთავსებლობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა ახალი ორგანიზაცია მშვიდობის დასაცავად. უშიშროების საბჭოს ახლა დაკისრებული აქვს ამოცანა — უზრუნველყოს ყველა დიდი სახელმწიფოს თანამშრომლობა და ამასთან ერთად განუხრელად იზრუნოს საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. ასეთი ორგანიზაცია არ ყოფილა არც XIX საუკუნეში, არც პირველი და არც მეორე მსოფლიო ომის წინ. შექმნილია საერთაშორისო ორგანიზაცია, აგებული ისეთ პრინციპზე, რომელიც არ დაუშვებს არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა უგულებელყოფას. ვეტოს უფლება განკუთვნილია სწორედ ამ მიზნისათვის. რა თქმა უნდა, ვეტო პანაცეა როდია. ბლოკებსა და დაჯგუფებებს ახლაც აქვს ადგილი, მაგრამ მაინც ვეტოს პრინციპი ერთადერთ საფუძველს იძლევა ხალხთა უშიშროების დაცვის საქმეში სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებისათვის, რარიგ დიდიც უნდა იყოს ამ მხრივ არსებული სიძნელენი. თუ ჩვენ ნამდვილად ვუჭერთ მხარს მშვიდობასა და უშიშროებას, უნდა ვაფასებდეთ ამ იარაღს, რომელიც განკუთვნილია ასეთ დიდმნიშვნელოვან მიზნებს ემსახუროს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოებს შორის საკმაოდ ბევრი უთანხმოება არსებობს ამათუიმ საკითხში, და დავა აუცილებელია. მაგრამ უთანხმოების გადაჭრის გზები უკვე არაერთხელ გამოგვინახავს. ეს გზები დახშული როდია ჩვენთვის მომავალშიც, განსაკუთრებით, თუ ყველანი შევიგნებთ, რომ ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის ნების სხვა სახელმწიფოებისათვის კარნახის ცდები უნაყოფო და უიმედოა. ჩვენ წინ უნდა ვიცქირებოდეთ და არავის უნდა დავანებოთ გვეწიოდეს ძველი გატეხილი გობისაკენ—ერთა ლიგისაკენ. ომის შემდეგ შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციაში ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ, რომელიც არ დაუშვებს რომელიმე სახელმწიფოს უგულებელყოფას და რომელიც მიმართული იქნება აგრესორის აღორძინების ყოველგვარი ახალი ცდების წინააღმდეგ.

ვეტოს უფლების წინააღმდეგ ავსტრალიის დელეგაციის ფაცხურს საყოველთაო მშვიდობის ინტერესებთან, ხალხთა თანამშრომლობის განვითარების ინტერესებთან საერთო არა აქვს რა.

უილაჯო ამეტყველება უშიშროების საბჭოს წინააღმდეგ და ვეტოს წინააღმდეგ შეიძლება დაეხმაროს მხოლოდ იმათ, ვის წინააღმდეგაც ჩვენ ვიომებდით და დაიმსახუროს მხოლოდ მომავალი აგრესორის მადლობა. ჩვენ გვსურს იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ცდები მარცხს განიცდიან და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ყველა ნამდვილი მომხრენი მათ წინააღმდეგობას გაუწევენ.

III

დასკვნები და წინადადებები

გადავდივარ დასკვნებზე.

საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია, რომ ხელისუფლების ორგანიზაცია ტრიესტში დემოკრატიულ საწყისებზე მოეწყოს, როგორც ეს მოცემულია წარმოდგენილ პროექტში. ტრიესტი ნამდვილად უნდა იყოს თავისუფალი ტერიტორია და არა რაღაც საგუბერნატორო ტერიტორია. ეს არის ჩვენი პირველი დასკვნა.

საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს აგრეთვე იმას, რომ დაცულ იქნას პროექტში წარმოდგენილი პრინციპი, რომელიც ამყარებს ტრიესტისა და უშიშროების საბჭოს ურთიერთობას. ამასთან ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს წინადადებებში ტრიესტის საკითხზე, მის დამოკიდებულებაზე მეზობლებთან და სხვა ქვეყნებთან მოცემულია საკმაო ბაზა კონფერენციის გადაწყვეტილებათათვის. ასეთია ჩვენი მეორე დასკვნა.

ტრიესტის სტატუტის განხილვამ ჩვენს წინაშე დააყენა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები. ტრიესტის ახალი მდგომარეობისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს ამ ტერიტორიის ძირითად ეროვნებათა ურთიერთობის, აგრეთვე მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის საკითხის სწორად გადაჭრა. ამ მხრივ მეტად სასარგებლო შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის გამოცდილება ეროვნული საკითხის გადაჭრაში. ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე საბჭოთა კავშირში, რომელიც აერთიანებს 16 მოკავშირე რესპუბლიკას და მთელ რიგ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ნაციონალურ ოლქებს, მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული იმ ხალხთა შორის მეგობრობის დამყარებაში, რომლებიც დგანან პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომელთა ყოფაცხოვრებასა და ენაში დიდი სხვადასხვაობაა. ჩვენ სრული რწმენა გვაქვს, რომ ამ მიღწევათა სწორად გამოყენებას ცოტა სარგებლობის მოტანა როდი შეუძლია ტრიესტშიც. რა თქმა უნდა, ავსტრალიის დელეგაციამაც უნდა გაგვიზიაროს თავისი გამოცდილება ასეთ საკითხებში. მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, ეს გამოცდილება დიდი არ არის. ავსტრალიას გააჩნია მხოლოდ ისეთი საქვემანდატო ტერიტორიები, როგორიცაა ახალი გვინეა და კუნძული ნაურუ მისი ორი ათასიანი ადგილობრივი მოსახლეობით. და მაინც საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ჩვენ ყველანი უნდა დავეხმაროთ ჩვენი გამოცდილებით იმ შემთხვევებში, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სწყვეტს ამათუიმ დიდმნიშვნელოვან ამოცანას. მაგრამ, რამდენადაც აქ ხაზგასმით აღნიშნავენ ტრიესტში ნაციონალურ-პოლიტიკური პრობლემების სირთულეს, საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირში ეროვნებათა შორის ურთიერთობის მოწესრიგების მრავალმხრივი გამოცდილება ყოველ შემთხვევაში აქაც არსებით სარგებლობას მოიტანს.

ჩემს მიერ აქ ჩამოყალიბებული მოსაზრებების შესაბამისად საბჭოთა დელეგაციამ კომისიის განსახილველად და შემდგომ, ქვეკომისიებში უფრო დეტალური შესწავლისათვის შემოაქვს შემდეგი წინადადებანი:

„საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ 1946 წლის 3 ივლისს მიღებულ დებულებათა განსავითარებლად, ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტში გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი დებულებანი:

1. ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია ნეიტრალური და დემილიტარიზებული იქნება.
2. ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიაზე მყოფი უცხოეთის მთელი ჯარები გამოყვანილ უნდა იქნან 30 დღის განმავლობაში იტალიასთან საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.
3. ტრიესტის ნავსადგურის საერთაშორისო რეჟიმმა უნდა უზრუნველჰყოს, რომ ტრიესტის ნავსადგურით და სატრანზიტო შეღავათებით სარგებლობა შეეძლოს თანაბარ პირობებში მთელ საერთაშორისო ვაჭრობას, ამასთან მეზობელ სახელმწიფოებს — იუგოსლავიასა და იტალიას ნავსადგურში მიეცემათ თავისუფალი ზონები.
4. ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის ეკონომიური განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება თავისუფალი ტერიტორიის ეკონომიური თანამშრომლობა იუგოსლავიასთან (საბაჟო უნია, ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის რკინიგზების ერთობლივი მართვა და სხვა).
5. გუბერნატორის მოვალეობაა უზრუნველჰყოს თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის დაცვა.
6. საკანონმდებლო ძალაუფლებას ახორციელებს სახალხო კრება, რომელიც არჩეულ უნდა იქნას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.
7. აღმასრულებელი ძალა-უფლება ეკუთვნის თავისუფალი ტერიტორიის მთავრობას, რომელსაც შექმნის სახალხო კრება და რომელიც პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის მის წინაშე. მთავრობა ახორციელებს თავისუფალი ტერიტორიის მართვას; მას ემორჩილება ადმინისტრაციული ხელისუფლების ყველა ორგანო პოლიციის, სასაზღვრო და სანაპირო დაცვის ჩათვლით.
8. ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის მოქალაქეობა მიეცემა იმ ყოფილ იტალიელ მოქალაქეებს, რომლებიც 1940 წლის 10 ივნისისათვის ცხოვრობდნენ და კვლავ ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე იტალიასთან საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღისათვის. მაგრამ ტრიესტის მოქალაქეობის მიღების უფლებით არ სარგებლობენ იტალიის ფაშისტური რეჟიმის აქტიური მოღვაწენი, ფაშისტური პარტიის აქტიური წევრები, სამხედრო დამნაშავენი, ის პირები, რომლებიც იტალიის პოლიციის სამსახურში არიან, და სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც იტალიიდან 1922 წლის შემდეგ ჩამოვიდნენ.
9. იქმნება სამოკავშირეო კომისია დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლებისაგან, რომელიც საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ შექმნის ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დროებით მთავრობას, რისთვისაც სამოკავშირეო კომისიას კონსულტაცია ექნება ადგილობრივ დემოკრატიულ პარტიებთან და ორგანიზაციებთან.
10. დროებითი მთავრობის განსაკუთრებულ მოვალეობას წარმოადგენს სამი თვის ვადაში დანიშნოს სახალხო კრების არჩევნები“.

საბჭოთა დელეგაცია რწმენას გამოსთქვამს, რომ ტრიესტის სტატუტის საკითხი აქ კონფერენციაზე სწორ გადაწყვეტას ჰპოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა

7-11 სექტემბერს მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა, რომელმაც პირველ საკითხად მოისმინა ანგარიში მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ამხ. ს. ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ მეორე ყრილობიდან განვლილი შვიდი წელი ქართული ლიტერატურის იდეური და მხატვრული განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ეს პერიოდი მოიცავს სამ ეტაპს: მშვიდობიან მშენებლობას, დიდ სამამულო ომს და ომისშემდგომ ხანას, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ჩაბმულია მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში.

სამამულო ომის დღეებში ქართული მწერლობა, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხების ლიტერატურა, იბრძოდა სამართლიანი საქმისათვის, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის. ამ დიადი ამოცანის განხორციელებლად თავდადებულად მუშაობდა ჩვენი მწერლების როგორც ძველი თაობა — შ. დადიანი, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, ალ. აბაშელი, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ი. მოსაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ს. ეული და სხვა, ისე ახალი თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები—რ. მარგიანი, ი. ნონეშვილი, ა. შენგელია, ხ. ბერულავა, მ. ლებანიძე, ფრონტზე მამაცურად დაღუპული მწერლები ს. ისიანი და ს. ქლენტი. სამამულო ომის მრისხანე დღეებში შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი, როგორიცაა გ. ტაბიძის „მამულო, სიცოცხლეო!", გ. ლეონიძის „სტალინს", „არ დაიდარდო, დედაო!", ა. მაშაშვილის „ყაზბეგი" და „ძმები", ი. გრიშაშვილის „ჩვენს დებს და დედებს", „სტალინგრადის გმირებს", ალ. აბაშელის „ჩემს კალამს", „არ მოუშვა, დაჰკარი!", ი. მოსაშვილის ლექსების ციკლი—„მისი ბარათი", დ. გაჩეჩილაძის „ძახილი უკვდავებისა", შ. აფხაიძის „ფიცი", ირ. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე", ვ. გაბესკირიას, ქ. კალაძის, გ. ქაჩახიძის ლექსები, გ. აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი", რომელიც კავკასიის გმირული დაცვისადმია მიძღვნილი.

ქართული პროზის ახალი ნაწარმოებნი ასახავენ ფრონტისა და ზურგის თავდადებულ გმირობას. მათ შორის მნიშვნელოვანია ლ. ქიაჩელის „მამა და შვილი", რ. გვეტაძის „მართალი ნოველები", გ. ნატროშვილის „ფურცლები დღიურიდან", დ. შენგელაიას „მერხეული", ქ. ლორთქიფანიძის ნარკვევები. სამამულო ომის წლებშივე შეიქმნა დიდი მხატვრული ტილოები საქართველოს წარსულზე. კ. გამსახურდიას ისტორიულმა რომანმა—„დავით აღმაშენებელმა", ა. ბელიაშვილის „თავგადასავალმა ბესიკ გაბაშვილისა" ფართო გამოხმაურება ჰპოვეს მკითხველთა მასებში. ქართველი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას მენშევიკების დიქტატურის წინააღმდეგ გვიხატავს ა. ქუთათელის რომანი „პირისპირ". ქართველმა დრამატურგებმა თანამედროვე თემებზე დასწერეს რამდენიმე პიესა, მიუხედავად ზოგიერთი დეფექტებისა, ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი", გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა" და ქ. კალაძის „ერთი ღამის კომედია" მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია, თუმცა ისინი სრულყოფილად ვერ ასახავენ იმ გრანდიოზულ ბრძოლას, რომელიც ქართველმა ხალხმა გასწია სამშობლოს დაცვისათვის. ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თავის წინასაარჩევნო სიტყვაში 1945 წლის 5 თებერვალს, აღნიშნა, რომ ქართველ „პოეტებს, მწერლებს და მხატვრებს ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ დიდი ტილოები, რომლებიც ღირსეულად ასახავდნენ სამამულო ომის დიად ეპოპეას". ახლახან გამოსული რომანები —ი. ლისაშვილის „სიცოცხლისათვის" და ს. თავაძის—„კავკასიის კარებთან" სქემატური, მხატვრულად სუსტი ნაწარმოებებია.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობის წინ გამოქვეყნდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ჟურნალების „ზვეზდას" და „ლენინგრადის" შესახებ. ეს ღირსშესანიშნავი დოკუმენტი სახელმძღვანელოა ქართული მწერლობისთვისაც.

ქართველ მწერალთა შემოქმედებითს მუშაობაში უკანასკნელ დროს იყო სერიოზული შეცდომები. სამამულო ომის ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრება ზოგიერთმა პოეტმა ისე გაიგო, რომ დადგა დრო მშვიდი, უსაგნო და „წმინდა" ლირიკისა. მათ ხელი მიჰყვეს ინტიმურ, განყენებულ და უიდეო ნაწარმოებთა წერას. ჟურნალ „მნათობის" ფურცლებზე გამოქვეყნდა პოეტ ალიო მაშაშვილის ლექსები, რომლებიც ზემოთქმულის ილუსტრაციას წარმოადგენენ. უსაგნო ლირიკით გატაცება გამოამჟღავნა გრ. აბაშიძემ ციკლში — „ატენური ლექსები". უიდეობის, დეკადენტიზმისა და რელიგიური მისტიციზმის გამომხატველია პოეტ კოლაუ ნადირაძის ლექსები. ზოგიერთი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი განიცდის სიმბოლისტურ-დეკადენტური ლიტერატურის გავლენას და სწერს მისთვის შეუფერებელ, განყენებულ, უსაგნო ლირიკულ ნაწარმოებებს. მხატვრულად სუსტი პიესები დასწერეს გ. ბერძენიშვილმა („ტირიფის ქვეშ") და გ. ქელბაქიანმა („შესაფერი ჯილდო").

ქართველი საბჭოთა მწერლების წინაშე ამჟამად გრანდიოზული ამოცანები დგას. ახალი სტალინური ხუთწლედი, რომლის განხორციელებას უკვე შეუდგა ჩვენი ძლევამოსილი ხალხი, საბჭოთა მწერლებისაგან მოითხოვს დიდ მუშაობას. ქართულ მწერლობას აქვს მდიდარი ტრადიცია და ყოველგვარი პირობა იმისა, რომ სრულყოფილად ასახოს თანამედროვეობა, იყოს თანამედროვე ადამიანთა სულის ინჟინერი.

ამხ. ს. ჩიქოვანის მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

ამხ. შ. აფხაიძემ აღნიშნა, რომ ქართველ მწერლებს დაეტყო უიდეო, უშინაარსო ლირიკისაკენ გადახრის ტენდენცია. ამ განწყობილებამ განსაკუთრებით იჩინა თავი ნიჭიერ ახალგაზრდობაში, რომელიც სულ უკანასკნელ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. შეცდომა იქნებოდა არ აღგვენიშნა, რომ აქტუალობას მოკლებულ ნაწარმოებთა შექმნაში ნიშანი მათ ისევ უფროსმა თაობამ მისცა.

მწერალი ნ. ნაკაშიძე თავის გამოსვლაში შეჩერდა საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე. არსებული მდგომარეობა ამ დარგში, მწერალთა კავშირის მხრივ უყურადღებობა, მას დაუშვებლად მიაჩნია. მწერალთა კავშირის არც საბავშვო ლიტერატურის სექციის მუშაობა სდგას სათანადო სიმაღლეზე. ჟურნალ „პიონერში" ხშირად იბეჭდება ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც შეუფერებელია მოზარდი თაობისათვის. ახალი სტალინური ხუთწლედის საკითხებზე ბავშვებისათვის ჩვენს მწერლებს ჯერ არაფერი შეუქმნიათ. საჭიროა მოზარდ თაობას ჩავუნერგოთ უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

— აჭარაში მოღვაწე მწერლების ყველაზე საპასუხისმგებლო და ამავე დროს მეტად საპატიო მოვალეობას შეადგენს იმუშაონ იმ ძვირფას მასალებზე, რაც დაგროვილია ქალაქ ბათუმში მიმდინარე საუკუნის დასაწყისში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გაჩაღებულ მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით,—სთქვა ამხ. პ. ლორიამ.

საბჭოთა მწერლების სამხრეთ-ოსეთის განყოფილების თავმჯდომარემ ამხ. ბეკოევმა აღნიშნა, რომ მხატვრული ლიტერატურა სამხრეთ-ოსეთში შეუჩერებლად იზრდება. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს პოეზიის დარგში. უკვე გამოცემულია ხ. პლიევის წიგნები „ნაპერწკლები", „გული", „ყვავილი", ფ. ბოგულაევის „აკორდები", „ფანდირა", ი. პლიევის „დილის რიჟრაჟი", გ. ბუზაევის „კავკასიის მზე", „მზის სხივები", „ხმალი", გ. ძიგოევის „ოქტომბრის შვილი", სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა წერილი დიდი სტალინისადმი (ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე), კ. ხეთაგუროვის გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, მ. შავლოხოვის „დევშირი მეომარი", ს. გაზაევის „ისარი". მხატვრული პროზისა და დრამატურგიის დარგშიც თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. სუსტად გვეხმარება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი. ეს უნდა გაითვალისწინოს პრეზიდიუმმა და მომავალში მეტი დახმარება გაგვიწიოს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. კეცხოველმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ქართველი მწერლები ჯერ კიდევ ვერ იძლევიან ისეთ მხატვრულ ტილოებს, როგორსაც მათგან მოელის მკითხველი. ზოგიერთი მწერალი ნაკლებად მუშაობს მასალის შესწავლაზე. მაგალითად, ი. ლისაშვილის რომანში „ლადო კეცხოველი" სოფელი ტყვიავი არასწორადაა აწერილი. ქართული ენა ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებში დამახინჯებულია, ენის სიწმინდეს მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილება, — ამბობს ალიო მაშაშვილი,—საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს მწერალთა კავშირისა და მისი ლიტერატურული ორგანოების მუშაობას. მაგრამ ზოგიერთი ლენინგრადელი მწერლის შეცდომები ჩვენში მექანიკურად არ უნდა გადმოვიტანოთ. მშვიდობიან შრომაზე გადასვლისას ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში ადგილი ჰქონდა დაცემულობის განწყობილებას, რასაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი თავის დროზე არ აქცევდა ყურადღებას. მეც მქონდა შეცდომები. გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე სამართლიანად გამაკრიტიკეს. შევეცდები მომავალში მსგავსი შეცდომები აღარ გავიმეორო. ჟურნალ „მნათობის" მუშაობას პრეზიდიუმი სათანადოდ არ ხელმძღვანელობს. „მნათობში" ზოგჯერ იბეჭდება სუსტი, დაუმუშავებელი, აპოლიტიკური ნაწარმოები. ამ დაუშვებელი მოვლენის აღმოსაფხვრელად უნდა წარვმართოთ მთელი ჩვენი მომავალი მუშაობა.

ს. შანშიაშვილმა გააკრიტიკა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მუშაობა. მომხსენებელმა,—აღნიშნა მან,—ექვსი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის ანგარიში ჩაგვაბარა და მხოლოდ აქა იქ მიგვითითა ნაკლოვანებაზე, ისიც ძალიან მოკლედ, ბოდიშის მოხდით, მაშინ, როცა ნაკლოვანებები ბევრია და საჭიროა მათი მხილება.

დასასრულ ამხ. შანშიაშვილმა გააკრიტიკა მწერალ კ. გამსახურდიას ისტორიული რომანები.

—პარტია და მთავრობა თეატრისაგან, დრამატურგისა და მთელი სამხატვრო ინტელიგენციისაგან მოითხოვენ თანამედროვეობის ასახვას,—აღნიშნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. ვასაძემ.—ჩვენს თეატრებს არა აქვთ თანამედროვეობის მკაფიოდ, მაღალმხატვრულად ამსახველი პიესები. ამ საკითხს სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ქართველი მწერლები. კრიტიკის მხრივაც დიდი ნაკლოვანებები გვაქვს. პრესაში შედარებით სუსტად შუქდება თეატრალური ცხოვრება.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები: ა ლომიძე, ა. გაწერელია, გ. გისელი, გ. შატბერაშვილი, ხ. ბლიავა და ი. ლისაშვილი.

შემდეგ ყრილობამ დიდი ინტერესით მოისმინა ამხანაგ პ. ა. შარიას ვრცელი მოხსენება თემაზე: „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები".

ამხ. პ. შარიამ თავის მოხსენებაში სთქვა:

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორ ღირსშესანიშნავ დოკუმენტს—1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებას ჟურნალების—„ზვეზდას" და „ლენინგრადის" შესახებ და 26 აგვისტოს დადგენილებას—დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ახალ საფეხურზე აჰყავს მთელი იდეოლოგიური მუშაობა. ლენინ-სტალინის პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მხატვრულ ლიტერატურას, როგორც იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მკვეთრი სიტყვით, ნათელი იდეებით, შეუდარებელი პუბლიცისტური ხერხებით გზას უკაფავდა ნამდვილ ხალხურ ლიტერატურას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ქართულ ლიტერატურას ახალი გზა გაუხსნა. ამ ახალ გზაზე დადგომა ერთგვარ მტკივნეულ პროცესს წარმოადგენდა ძველი თაობის მწერლებისათვის. ზოგმა პირველ ხანებში არც კი მიიღო რევოლუცია, მისი იდეოლოგია („აკადემიური ჯგუფი") და რეაქციული პოზიციებიდან აკრიტიკებდა მას, ზოგი განაგრძობდა სიმბოლისტურ-დეკადენტურ გზას (ცისფერი ყანწელები).

რევოლუციის შემდეგ მოწინავე ქართველმა მწერლებმა შექმნეს ბევრი შესანიშნავი მოთხრობა, რომანები, ლექსები, პოემები, რომლებიც იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვანი ნაწარმოებებია. ქართული ლიტერატურის აღმავლობა განსაკუთრებით ძლიერი იყო მას შემდეგ, რაც საქართველოს ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა ამხანაგი ლავრენტი ბერია.

ხალხთა იდეურად აღმზრდელის როლი საბჭოთა მწერლობამ თვალსაჩინოდ გამოავლინა დიდი სამამულო ომის დროს. იდეურ ფორმირებაში იმ ახალგაზრდობისა, რომელმაც ეს ომი თავის მხრებზე გადაიტანა და მტერს უსასტიკესი დამარცხება აგემა, დიდი როლი შეასრულა საბჭოთა მხატვრულმა ლიტერატურამაც. ჩვენმა მწერლობამ ხელი შეუწყო არა მარტო ახალგაზრდობის, არამედ მთელი ხალხის პატრიოტულ აღზრდას.

საბჭოთა ლიტერატურა ყოველთვის იყო კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის საგანი. გავიხსენოთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზები. საბჭოთა ლიტერატურისათვის ასეთივე მნიშვნელობა აქვს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 და 26 აგვისტოს დადგენილებებს.

მართალია, არ შეიძლება იმ შეცდომების მთლიანად და მექანიკურად გავრცელება ქართულ მწერლობაზე, რომლებიც აღნიშნულია ზემოთმოყვანილ დადგენილებებში, ისევე როგორც ლენინგრადის ზოგიერთი მწერლის შეცდომებს ვერ გავავრცელებთ მთელი საბჭოთა კავშირის ლიტერატურაზე, მაგრამ არც ის შეიძლება ვთქვათ, თითქოს საქართველოს მწერლობაში ყველაფერი რიგზე იყოს. ქართულ ლიტერატურასაც სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. საჭიროა ვამხილოთ ისინი და დავსახოთ მათი გამოსწორების ღონისძიებანი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე ქართული მწერლობა, როგორც ერთი მთლიანი, არ დაპირისპირებია ნაციონალისტურ-დეკადენტურ მიმდინარეობას მხატვრულ ლიტერატურაში. იყვნენ მხოლოდ ცალკე საბჭოთა მწერლები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით სრულიად ახალ გზას ადგნენ, ვიდრე ცრურევოლუციონერ—ფუტურისტები, რომლებიც გარეგნული რევოლუციური ფრაზიორობით ცდილობდნენ თავიანთი ყალბი „რევოლუციონერობის" დამტკიცებას.

ძველი ლიტერატურის ბევრი წარმომადგენელი რევოლუციას ერთგვარი ტკივილებით უახლოვდებოდა. მაგრამ უმართებულო იქნებოდა ეს მათთვის დღეს გაგვეხსენებინა. ამავე დროს ჩვენ არ დაგვავიწყდება, რომ ქართული მწერლობის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, როგორიც არის გალაკტიონ ტაბიძე, თავიდანვე რევოლუციის მხარეზე დადგა.

საბჭოთა ლიტერატურა არ ვითარდებოდა უმტკივნეულოდ. რაპი იმეორებდა პროლეტკულტის მცდარ დებულებებს, კერძოდ, კლასიკური მემკვიდრეობის საკითხში. მე აქ არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რაპი გამოხატავდა ლიტერატურაში ანტიპარტიული ჯგუფების იდეოლოგიას.

როგორც აღვნიშნე, ქართველ საბჭოთა მწერლებს დიდი დამსახურება მიუძღვით სამამულო ომის პერიოდში. მაგრამ ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა ქართულ ლიტერატურაში გაისმა უჩვეული ხმები. ზოგიერთმა იფიქრა, ომში ვიმარჯვებთ, შეიძლება შევისვენოთ, და გამოაქვეყნა უშინაარსო, უიდეო ნაწარმოები, რომლებშიაც დაცემულობის განწყობილებამაც იჩინა თავი.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ქართული საბჭოთა მწერლობა შეგვეფასებინა მარტო ამ ხასიათის ნაწარმოებებით. უეჭველია, მწერლები ამჟამად მუშაობენ დიდ ტილოებზე, რომლებშიც ბოლშევიკური იდეურობით იქნება ასახული ჩვენი დიადი ეპოქა.

ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია გრიგოლ აბაშიძის პოემა „ზარზმის ზმანება". მართალია, მასში გაუმართავია სიუჟეტი, არის ფანტასტიკური მომენტებიც, მაგრამ ის მაინც საყურადღებო მოვლენაა, როგორც ფართო ეპიკური ტილო, რომელიც თანამედროვეობას ეხება. თანამედროვეობის ამსახველ ეპიკურ ტილოებზე ალბათ სხვა მწერლებიც მუშაობენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ქართულ მწერლობაში თავი იჩინეს არასასურველმა მოვლენებმა, ეს არის უიდეობა, მოწყვეტა სინამდვილისაგან, არაჯანსაღი, ინდივიდუალისტურ-მისტიკური განწყობილებანი.

შემდეგ ამხ. პ. შარია შეჩერდა ზოგიერთი მწერლის გამოსვლაზე და აღნიშნა, რომ ამხანაგები მეტი პატივისცემით უნდა ექცეოდნენ ერთმანეთს. კერძო და პირადული არ უნდა გადაჰქონდეთ შემოქმედების დარგში.

ჩვენი ლიტერატურული ორგანოების რედაქციებმა უდიდესი შეცდომა დაუშვეს, როცა ვერ გამოიჩინეს სათანადო სიფხიზლე და ხელაღებით მოათავსეს ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებები, რომლებიც არც იდეურად და არც მხატვრულად არ უპასუხებენ თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამოცანებს. ზოგი მათგანი უეჭველად ამჟღავნებს შემოქმედებით ნიჭს, მაგრამ ეტყობათ, რომ სხვადასხვა გავლენების გამო ყალბ გზაზე დამდგარან. ლიტერატურის მომავალი კადრების დაწინაურება ასეთი ყალბი გზით არ უნდა ხდებოდეს. საჭიროა გვახსოვდეს, რომ „მნათობი" საქართველოს საბჭოთა მწერლების ერთადერთი ჟურნალია და მასში გამოქვეყნებული ნაწარმოებები ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს.

შემდეგ ამხ. პ. შარია შეეხო ჟურნალ „მნათობის" რედაქციის მუშაობას და გააკრიტიკა ალიო მაშაშვილის უიდეო, განყენებული ხასიათის ლექსები, რომლებიც მან ამ უკანასკნელ დროს გამოაქვეყნა.

რევოლუციის პირველ წლებში მძაფრად გაისმოდა ალიო მაშაშვილის პოეტური ხმა. მას შესანიშნავი ლექსები აქვს საბჭოთა სინამდვილეზე. მაგრამ ბოლო ხანებში ალიო მაშაშვილმა შექმნა მისთვის შეუფერებელი ნაწარმოებები. ნუ დაგვავიწყდება, რომ უფროს თაობას ჩვეულებრივ ბაძავს ახალგაზრდობა. ალიო მაშაშვილსაც აღმოაჩნდა მიმბაძველები, რომლებმაც დაწერეს უიდეო, ფორმალისტურ-სიმბოლისტური ლექსები.

წარსული ეპოქების კლასიკოს მწერალთა დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ კარგად ესმოდათ თავიანთი დრო და გამოხატავდნენ მას. ჩვენი მწერლებიც ძირითადად ამ გზით მიდიან. მაგრამ ზოგიერთს ავიწყდება, რომ თანამედროვე თემატიკის გვერდის ავლა მიუტევებელი შეცდომაა მწერლისათვის. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ხშირად მწერალთა შემოქმედებითი ცხოვრება არ მიემართება სასურველი ფორმებით, არ ეწყობა შემოქმედებითი დისკუსიები, არ იკითხება ლექციები ლიტერატურის ისტორიის, ხელოვნების თეორიის და სხვა საკითხებზე. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი არ ცდილობს მწერლების ურთიერთდაახლოებას შემოქმედებითი დისკუსიების საშუალებით. ეს ნაკლი უნდა აღმოიფხვრას. დროა მწერალთა სახლი გადაიქცეს შემოქმედებითი მუშაობის ცენტრად.

მაღალმხატვრულ და იდეურად გამართულ ნაწარმოებთა შექმნას ხელს უშლის აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგიერთი მწერალი ცოტას მუშაობს თავის თავზე, მაშინ, როცა მწერლობა არა მარტო აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა, არამედ მისი მაღალი, ქმედითი ფორმაც. ამიტომ საჭიროა მწერალმა შეუპოვრად იმუშაოს თავის თავზე. განა ცოტაა ისეთი მწერალი, რომელმაც ლიტერატურის ისტორია არ იცის, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურის ზოგიერთი შედევრიც კი არ წაუკითხავს, ხელოვნების ისტორია არ უსწავლია? ეს დიდი ნაკლია. მარტო ნიჭი არ სწყვეტს საკითხს, მას აუცილებლად თან უნდა ახლდეს შეუპოვარი შრომა. ღონისძიებანი, რაც დღემდე განახორციელა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მწერალთა იდეური დონის ამაღლებისათვის, არა საკმაოა. ასე აღარ უნდა გავრძელდეს. საჭიროა სისტემატურად მოვაწყოთ ლექციები, ნაწარმოებთა გარჩევა, შემოქმედებითი დისკუსიები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მწერალთა იდეური დონის ამაღლებას.

ქართულ პროზას უდაოდ ახასიათებს ის ნაკლი, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 აგვისტოს დადგენილებაშია აღნიშნული. ვერავინ იტყვის, რომ საჭირო არ იყოს ისტორიული რომანები. ისტორიულ წარსულს ჩვენ ვიყენებთ იმდენად, რამდენადაც ის ხელს გვიწყობს თანამედროვეობის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტაში. ამიტომ გასაგებია, რომ გაცილებით უფრო მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს თანამედროვეობის თემატიკას. ამავე დროს, უსამართლობა იქნებოდა არ შეგვეფასებინა დიდი შრომა, რომელიც ისტორიული რომანის შექმნას სჭირდება. აშკარად შემცდარი იყო ამხ. ს. შანშიაშვილი, როცა ის შეეცადა გაებიაბრუებინა კ. გამსახურდიას რომანები. მართალია, ამხ. გამსახურდიას შემოქმედებას ნაკლი აქვს, მაგრამ მას დიდი ღირსებებიც გააჩნია.

შემდეგ ამხ. შარია ფართოდ შეჩერდა კ. გამსახურდიას ისტორიული რომანების ნაკლოვანებებზე, როგორიცაა პორნოგრაფიული ელემენტები, ენობრივი არქაიზმები და სხვ. პორნოგრაფიული ელემენტებით გატაცება ახასიათებს აგრეთვე აკაკი ბელიაშვილს, მისი „ბესიკი" კარგი საკითხავია, მაგრამ როგორც ისტორიულ რომანს, მას ბევრი სერიოზული ნაკლი აქვს. ეტყობა, ამხ. ბელიაშვილს ვერ მოუსწრია ისტორიული მასალების სათანადო შესწავლა. გარდა ამისა, ამხ. ბელიაშვილმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მეტყველების მხატვრულად დახვეწას.

ისტორიული რომანების გვერდით ქართველმა მწერლებმა გამოაქვეყნეს თანამედროვე თემაზე დაწერილი ნაწარმოებები. მაგრამ მარტო თემატიკის აქტუალობა როდი სწყვეტს საკითხს. თუ ნაწარმოები მხატვრულად სუსტად არის დამუშავებული, თუ თემა საფუძვლიანად არა აქვს შესწავლილი ავტორს, მიზანი მიუღწეველი რჩება, ხშირად საწინააღმდეგო შედეგსაც იძლევა. მწერალ იაკინთე ლისაშვილს კეთილშობილური იდეა ჰქონდა—მოეცა სამამულო ომის ამსახველი ნაწარმოები, მაგრამ მარცხი განიცადა, იმიტომ, რომ სათანადო სერიოზულობით არ მოეკიდა თემის დამუშავებას, მასალების შესწავლას. ავტორი ცდილობს ისეთი მოვლენების მხატვრულ ასახვას, რომლებიც მას არც უნახავს და არც იცის. სამწუხაროდ, მის რომანში ისეთი უდიდესი გრძნობაც, როგორიცაა სიყვარული — გაუხეშებულია. ნაწარმოების ენობრივი კულტურა დაბალია. ამხ. ლისაშვილს წერა შეუძლია და მას არ ეპატიება ასეთი ნაწარმოების გამოქვეყნება. ამ საქმეში დამნაშავენი არიან რეცენზენტებიც და რედაქტორიც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე თემას არანაკლები, თუ არა მეტი, შესწავლა სჭირდება, ვიდრე ისტორიულს. ლიტერატურული ტიპი, როგორც ვიცით, არ არის რომელიმე ინდივიდუალური სახის უბრალო ფოტოგრაფია. ტიპიზაცია მოითხოვს ისეთ განზოგადებას, რომელშიაც თანამედროვეობა ასახულია მის არსებით მომენტებში და ამავე დროს მოცემულია განვითარების ძირითადი ტენდენცია. ეს მეტად რთული ამოცანა მწერლის დიდ კულტურასა და დიდ მუშაობას მოითხოვს.

ქართულ საბჭოთა პოეზიას ბევრი მიღწევა აქვს. მთელმა რიგმა პოეტებმა დასწერეს შესანიშნავი ლექსები სამამულო ომის თემაზე, გამოიცა ლექსების ბევრი კარგი კრებული. მაგრამ ჩვენი პოეზიის ძირითადი ნაკლი ისაა, რომ თითქმის არ იქმნება დიდი ტილოები. მე მგონია, რომ დიდი ტილოების შექმნაში ერთ-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს სიმბოლიზმის ნაშთები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ იგრძნობა ქართულ პოეზიაში. შეუძლებელია შეიქმნას დიდი პოეზია, თუ არ გვექნება პოემები. პოემა კი თხრობის გარეშე არ შეიძლება. ჩვენი პოეტების უმრავლესობა გატაცებულია მხატვრული სახეებით და ავიწყდება ლექსად თხრობის ხელოვნება. კიდევ მეტი. ჩვენში რატომღაც გავრცელებულია უცნაური „თეორია" თითქოს თხრობითი ფორმა საერთოდ არ იყოს პოეზია. ეს სასაცილოა. თხრობის გარეშე ჯერ არ შექმნილა ლიტერატურაში დიდი პოეტური ტილო. ამ უცნაური შეხედულების გადალახვის გარეშე ჩვენი ნიჭიერი პოეტები ვერ შექმნიან ეპიურ ნაწარმოებებს. აღსანიშნავია, რომ იმ ორიოდე პოემას, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა, პირობითად თუ ვუწოდებთ პოემებს.

პოეზიისათვის სახე არ არის თვითმიზანი. გარდა ამისა, თვით პოეტური სახე უმთავრესად უნდა იქმნებოდეს სიტყვისა (მისი ჩვეულებრივი ლოგიკურ-ეტიმოლოგიური შინაარსით) და საგნის უშუალო დამოკიდებულებაში. მეტაფორა და სიმბოლო რა თქმა უნდა საჭიროა, მაგრამ როგორც დამხმარე საშუალება. ზოგიერთი ლექსი ისეთი მეტრით და ფორმით არის დაწერილი, რომ ქართულ პოეტურ ენას ვეღარ იცნობთ. სამწუხაროდ, ჩვენი პოეტები სიახლეს პოეზიაში ეძებენ მხოლოდ გარეგნული ფორმის მხრივ. მხატვრული სიახლე მარტო ფორმის საკითხი როდია, მთავარია პოეტის იდეური სამყარო. ფორმის მხრივაც პოეზიაში რიტმი და ინტონაციაა მთავარი და არა რითმა, რატომ არ შეიძლება ქართული ლექსის კლასიკოსების ფორმა გამოყენებულ იქნას ახალ პოეზიაში? მაგრამ ზოგიერთ პოეტს ჰგონია, რომ თუ მან გამონახა რომელიმე ახალი რითმა ან სიმბოლური სახე—ამით გაამდიდრა პოეზია. ახალი რითმა, ან თუ გნებავთ რიტმიც არ ჰქმნის ახალ პოეზიას. ახალი იდეები, ახალი განწყობილებანი და მისწრაფებანი, გამოხატულნი თუნდაც კლასიკური ლექსის მეტრით, სინამდვილეში გაცილებით უფრო მეტად ნიშნავს სიახლეს პოეზიაში, ვიდრე ახალი რიტმის, რითმის, მეტრის თვითმიზნური ძიება. რა თქმა უნდა, ლექსის ახალი ფორმა მეტად სასურველია, მაგრამ ის არ უნდა მოწყდეს იდეურ და მხატვრულ შინაარსს.

უკანასკნელ დროს ჩვენს პოეზიაში თავი იჩინა უაღრესად ვიწრო ინტიმური თემატიკით გატაცებამ. აქვს თუ არა პოეტს უფლება გამოხატოს და გამოსთქვას თავისი ინტიმური გრძნობები? რა თქმა უნდა აქვს. მაგრამ ამისათვის არსებობს ცნობილი ხერხი. როცა მწერალი საკუთარ ინტიმურ სამყაროს გამოხატავს თავისი გმირების სახით. მაგალითად, რა ღირებულება აქვს საზოგადოებისათვის ამა თუ იმ პოეტის პირად ინტიმურ განცდებს, რომელთაც გარდა პიროვნულისა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ? საკვირველია, რატომ უთმობენ რედაქციები ადგილს ასეთ ნაწარმოებებს. ასეთი ლექსები ჩვეულებრივ ჩაიწერება ალბომებში ან დღიურებში. ლექსს, რაგინდ მინიატურულიც არ უნდა იყოს, კომპოზიციური მთლიანობა უნდა ახასიათებდეს. ჩვენში კი ხშირად აქვეყნებენ ლექსებს, რომლებიც განცდების უბრალო ფრაგმენტს წარმოადგენენ. ამ სახით ვერავითარი იდეა ან მსოფლმხედველობა ვერ გამოიხატება.

ძლიერ ჩამორჩება ჩვენი დრამატურგია. მე აქ ბევრს არ ვიტყვი ისტორიული თემატიკით გატაცებაზე. ამის შესახებ ბევრჯერ გვქონდა მსჯელობა. ის მცირეოდენი პიესებიც, რომლებიც თანამედროვე თემაზეა დაწერილი, ეხებიან მეტად წვრილმან გრძნობებსა და ინტერესებს. სტალინური ეპოქის ადამიანებს ახასიათებთ მღელვარე განცდები, დიდი იდეები და ვნებები, კეთილშობილური მისწრაფებანი—სწორედ ეს უნდა ასახონ ჩვენმა დრამატურგებმა. მაგრამ ისინი ნაკლებად სწავლობენ ცხოვრების სინამდვილეს. ეს შეუწყნარებელია. ზოგიერთი ფიქრობს, რომ პიესა ან მხოლოდ დადებითს, ან მხოლოდ უარყოფით მოვლენას უნდა ეხებოდეს. ეს სქემატიზმია. არავინ უკრძალავს მწერალს შეეხოს ნაკლოვანებებს. პირიქით, მხატვრული შემოქმედებაც, ისევე როგორც მთელი ჩვენი იდეოლოგიური და პოლიტიკური მუშაობა, მიმართული უნდა იყოს უარყოფითი მოვლენების დაძლევისაკენ. ლიტერატურაში დადებითი გმირი იმდენადაა დადებითი, რამდენადაც ის ჰკვეთს და გადალახავს უარყოფითს ცხოვრებაში. ეს პროცესი მხატვრულ ნაწარმოებში კონკრეტულად და დამაჯერებლად უნდა იყოს გამოხატული. საჭიროა საბჭოთა მწერალი არა მარტო ხედავდეს და აღნუსხავდეს მოვლენებს, არამედ ის ღრმად უნდა ჩასწვდეს ჩვენი სინამდვილის განვითარებას, ყოველთვის ხედავდეს იმ დიად პერსპექტივებს, რომლებსაც უხსნის ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ხალხს ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

საბავშვო მწერლობა ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. მწერლობა დიდ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე. იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბავშვების ისეთ აღზრდას, რომ ისინი გახდნენ დიადი სტალინური ეპოქის ღირსეული მოქალაქენი. ჩვენი ამოცანაა შევქმნათ დიდი საბავშვო ლიტერატურა. მართალია, საბავშვო ლიტერატურას თავისი სპეციფიკა აქვს, მაგრამ როგორც დიდი კლასიკოსების მაგალითი გვიჩვენებს, ყოველ მოწინავე მწერალს შეუძლია შექმნას კარგი საბავშვო მხატვრული ნაწარმოები.

დიდი როლი აკისრია ლიტერატურულ კრიტიკას. კრიტიკოსი მწერლის დონეზე მაინც უნდა იდგეს, თუ მასზე მაღლა არა. კრიტიკა მთელი ლიტერატურის პრობლემატიკის ფოკუსია. ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას კრიტიკოსი არა მარტო უნდა აღნიშნავდეს მხატვრულ ნაკლს ან ღირსებას, არამედ მან უნდა გაარჩიოს რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელსაც ნაწარმოები ეხება, როგორ შესძლო მწერალმა მისი გადაწყვეტა. კრიტიკოსს უპირველეს ყოვლისა მოეთხოვება ობიექტურობა და პრინციპულობა — მეგობრული ან არამეგობრული განწყობილება ამათუიმ მწერლისადმი არ უნდა ახდენდეს გავლენას მის მიერ ნაწარმოების შეფასებაზე. ჩვენ გვყავს კრიტიკოსების საკმაოდ ძლიერი რაზმი და თუ ისინი მაინც ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ უნდათ მეგობრული განწყობილება წაიხდინონ მწერლებთან. სწორედ ამაზე მიუთითებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 აგვისტოს დადგენილება. განსაკუთრებით დიდია კრიტიკის როლი ახალგაზრდა მწერლების აღზრდაში.

შემდეგ ამხ. პ. შარია ლაპარაკობს თარგმანის საკითხზე. მსოფლიო კლასიკოსთა მხატვრული ნიმუშების თარგმანი ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს. ეს ხარვეზი უნდა შეავსონ ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა. ამით ახალგაზრდობას გავაცნობთ მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს. ამხ. შარია შეჩერდა „მნათობის", „ლიტერატურა და ხელოვნების" რედაქციების, გამომცემლობათა სუსტ მუშაობაზე და დასახა ამ დარგში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობა შეიკრიბა ჩვენი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების განსაკუთრებულ ეტაპზე. ჩვენ ახალი ენერგიით, ახალი ენტუზიაზმით შევუდექით ომით მოყენებული ჭრილობების მოშუშებას, მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას. ეჭვი არ არის, საქართველოს მწერალთა მესამე ყრილობა ხელს შეუწყობს ძალთა მობილიზაციას იმ დიდი ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც ჩვენს წინაშე დააყენა პარტიამ და მთავრობამ, ხალხთა ბრძენმა ბელადმა დიდმა სტალინმა.

ამხ. პ. ა. შარიას მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ჩვენი ყრილობა, — ამბობს ამხ. ბ. ჟღენტი, —პირველი ყრილობაა სამამულო ომის შემდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, მსჯელობა გვიხდება სამამულო ომის პერიოდში დაგროვებულ მასალებზე მაღალმხატვრულ, იდეურად გამართულ ნაწარმოებთა შექმნის, ლიტერატურაში დადებითი გმირის ჩვენების შესახებ. ჩვენი მწერლობის საფუძველ[illegible] მწიფოს პოლიტიკა. [illegible] უნდა შევაფასოთ სამამულო ომის წლებში შექმნილი ყველა ნაწარმოები. მართლაც ბევრი რამ ღირსშესანიშნავი მოგვცა ქართულმა მწერლობამ ომის წლებში. მაგრამ ახლა ამაზე ვერ შევჩერდებით. ამჟამად ყრილობის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ნაკლოვანებებზე და, კერძოდ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ნაკლოვანებებზე.

უკანასკნელ ხანებში ლიტერატურის თეორიაზე და ისტორიაზე დაწერილი ნაშრომები მოწყვეტილია თანამედროვე მწერლობის აქტუალურ ამოცანებს. ლიტერატურული კრიტიკის თვალსაჩინო ძალები გაექცნენ თანამედროვეობას და ხელი მიჰყვეს წარსულის თემებზე მუშაობას.

ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა პოეტმა ს. მიხალკოვმა მოსკოველ მწერალთა სახელით მხურვალე სალამი გადასცა ქართული სიტყვის ოსტატებს. შემდეგ მან აღნიშნა, რომ 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში გამოვლინებულია ჩვენს მწერლობაში მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი სიფხიზლის მოდუნების ფაქტები. ომის დასრულების შემდეგ ზოგან, ჩვენი მწერლების კულუარებში, გაისმა სიტყვა —„შესვენება". ეს განწყობილება მავნეა.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. მიხალკოვმა განაცხადა, რომ სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, რომელმაც მას დაავალა გადაეცა მისალმება ქართველ მწერალთა ყრილობისათვის, იმედს გამოსთქვამს, რომ ქართველი მწერლები ღირსეულად, მათთვის ჩვეული მონდომებით შეასრულებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 აგვისტოს დადგენილებას.

მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა იმის მტკიცებას, რომ იგი არ არის ისტორიულ ჟანრზე მომუშავე მწერალი, რომ იგი მხოლოდ ჟამთა აღმწერელია, მეისტორიეა ჩვენი ქვეყნის სახელოვანი წარსულისა. — ჩემი ნაწარმოებების ერთ მესამედზე მეტი, — სთქვა მან, — საბჭოთა სინამდვილეს ეხება, ხოლო წარსულის ამსახველი რომანებიც თანამედროვეობას გამოხატავენ.

თავის გამოსვლაში კ. გამსახურდია ძალიან მკაცრად და უმართებულოდ მოეკიდა თბილისგარეთ მომუშავე, მისი სიტყვით — „პროვინციელ მწერლებს", „პერიფერიულ ლიტერატურას", რამაც ყრილობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

ამხ. გიორგი ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა მწერალი უნდა იყოს ჩვენი დროის განათლებული, მორალურად სპეტაკი, მოწინავე ადამიანი, ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე. პირადულმა და შემთხვევითმა მის დამოკიდებულებაში კოლეგებთან არ უნდა ითამაშოს წამყვანი როლი. მწერალთა შორის არაჯანსაღი ურთიერთობა აფერხებს ლიტერატურის განვითარებას. ამიტომ გაუმართლებელია ს. შანშიაშვილის გალაშქრება კონსტანტინე გამსახურდიას მთელი შემოქმედების წინააღმდეგ. კრიტიკოსისა და მწერლის მიზანი ერთია — შექმნან ჩვენი დროის შესაფერი დიდი ლიტერატურა. ეს მოითხოვს მათ შორის დამოკიდებულება ყოველთვის იყოს პრინციპულად ჯანსაღი და უანგარო.

შემდეგ ამხ. გ. ჯიბლაძემ მიუთითა, რომ მეოთხე სტალინური ხუთწლედი, ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა განსაზღვრავენ ჩვენი ლიტერატურის უახლოეს ამოცანებს. საბჭოთა მწერალი თავისი მხატვრული სიტყვით ქვეყნის, ხალხის სამსახურში უნდა იდგეს. ამ უდაო ჭეშმარიტების გვერდის ავლამ ზოგიერთი ნიჭიერი მწერალი იდეურად გაუმართლებელ, მისტიკურ-რელიგიურ ნაწარმოებამდე მიიყვანა, მოაქცია „წმინდა" ლირიკის ტყვეობაში. ასე დაემართა ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალსაც. მათი შეცდომა ის არის, რომ მწერლობაში პირველი ნაბიჯიდანვე „დიდი ოსტატობისათვის", ვითომდა ფორმის სახელისათვის იწყებენ ბრძოლას, მაშინ, როცა მათ ჯერ ცოტა გაეგებათ ცხოვრებისა და ცოტა უსწავლიათ ცხოვრებისაგან. ახალგაზრდა მწერლებმა პირველი რიგის ამოცანად უნდა დაისახონ ცხოვრების, სოციალისტური სინამდვილის ღრმად შესწავლა, ურომლისოდ „დიდ ოსტატობაზე" ოცნება რეალური არ იქნება და მხოლოდ ოცნებად დარჩება.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. აკაკი ხორავამ თავისი სიტყვა მიუძღვნა თეატრისა და მწერლების ურთიერთდამოკიდებულებას. მან აღნიშნა, რომ ამჟამად ქართული თეატრები განიცდიან ორიგინალური მაღალხარისხოვანი დრამატული ნაწარმოებების უქონლობას. ქართული პროზის შესანიშნავ ოსტატებს კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელს და სხვებს ჯერჯერობით არ უცდიათ რამე თვალსაჩინო ნაწარმოები შექმნათ ქართული თეატრისათვის. მწერლობა თეატრის უფროსი ძმაა. ჩვენ, ქართული თეატრის მუშაკები, მისგან მოველით რეალურ დახმარებას. თუ ამ დახმარებას მივიღებთ, ჩვენი თეატრი მუდამ მოწინავეთა რიგებში იქნება.

ამხ. ა. ბელიაშვილმა სხვა საკითხებთან ერთად ილაპარაკა მწერალთა არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე კინემატოგრაფიაში. ზოგიერთი მწერალი სცენარზე მუშაობას თაკილობს, გაურბის მას, ვინაიდან მწერლობის საქმედ არ მიაჩნია. ეს მიუტევებელი შეცდომაა. ქართველმა მწერლებმა უნდა შექმნან საუკეთესო სცენარები საბჭოთა კინოსათვის.

— მწერლობა სინამდვილეს უნდა ემსახუროს. მწერლობის პრაქტიკული დანიშნულება ძალიან კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს, ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს და მათი მხატვრული სიტყვაც მუდამ ხალხის სამსახურში იყო, — სთქვა ყრილობაზე გამოსულმა მხცოვანმა მწერალმა დ. თომაშვილმა. მან მოუწოდა ახალგაზრდებს მიჰყვენ ქართული ლიტერატურის ამ შესანიშნავ ტრადიციას.

ამხ. თომაშვილმა ილაპარაკა აგრეთვე მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მუშაობაზე და მისი არსებობის საჭიროებაზე. დასასრულ მან წაიკითხა საკუთარი ლექსი, რომელსაც ყრილობა გულთბილად შეხვდა.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ვ. დარასელი და ლენინგრადელ მწერალთა წარმომადგენელი ამხ. ლიფშიცი.

საბოლოო სიტყვაში ამხ. პ. შარია შეჩერდა რამდენიმე საკითხზე. მან რწმენა გამოსთქვა, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელიც წარმოადგენს ერთ მთლიან, ჯანსაღ კოლექტივს, გაამართლებს იმ დიდ ნდობას, რასაც მას უცხადებენ კომუნისტური პარტიის ბრძენი ბელადი სტალინი და მისი უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი ბერია.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

ალბანეთის წარმომადგენლის გამოსვლა სამხედრო კომისიის სხდომაზე

პარიზი, 14 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს სამხედრო კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა ალბანეთის წარმომადგენლის განცხადება იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის სამხედრო მუხლებთან დაკავშირებით. ალბანეთის წარმომადგენელმა კომისიის სხდომაზე გამოსვლისა და თავისი თვალსაზრისის გამოთქმის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დელეგაციების მტკიცე მხარდაჭერის შედეგად მიიღო.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კონფერენციის მონაწილე ზოგიერთი ქვეყნის დელეგაციებმა მტრული დამოკიდებულება გამოიჩინეს ალბანეთის მიმართ, რომლის ხალხიც გმირულად იბრძოდა ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა საბერძნეთის დელეგატი ცალდარისი, რომელმაც არაერთხელ ჩაიდინა სხვადასხვა უხეშობა, ბრალს სდებდა ალბანეთს დამპყრობლურ პოლიტიკაში, თუმცა, როგორც ცნობილია, ამაში ყველაზე უფრო მეტად საბერძნეთის ახლანდელ მთავრობას შეიძლება დაედოს ბრალი.

ამასწინათ იტალიის ეკონომიურ საკითხთა კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე საბერძნეთის წარმომადგენელი გაბოროტებით აცხადებდა პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ალბანეთის დელეგაცია დაშვებული ყოფილიყო სხდომებზე პროცედურის წესების შესაბამისად მოწვეულ მეგობრული ქვეყნის უფლებებით.

როდესაც დადგა საკითხი სამხედრო კომისიის სხდომაზე ალბანეთის დელეგაციის მიწვევის შესახებ, აქ კვლავ განმეორდა ცდა ალბანეთი ჩაეყენებინათ უფრო დაბალ მდგომარეობაში, ვიდრე ყოფილი მტრული სახელმწიფოები. დიდი ბრიტანეთის დელეგატმა ალექსანდერმა განაცხადა, ვერ ვხედავ საჭიროებას მოვუსმინოთ ალბანეთის წარმომადგენლებს, ვინაიდან „არა მგონია, მათ რაიმე ახალი ჰქონდეთ სათქმელი". დიდი ბრიტანეთის დელეგატის გამოსვლა მით უფრო უცნაურად გაისმა, რომ წინადღით იგივე ალექსანდერი ცხარე მომხრე იყო ყოფილი მტრული იტალიის წარმომადგენელთა მოსმენისა.

საბჭოთა დელეგატმა სლავინმა კომისიის ყურადღება მიაპყრო ამას და განაცხადა: „რატომ არ გვინდა, რომ ყოფილი მტრული ქვეყნის თვალსაზრისის მოსმენის შემდეგ სიტყვა მივცეთ იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა? რა არის ეს— დემოკრატიის ახალი პრინციპები?..."

ალბანეთის დელეგაციის კანონიერ უფლებათა დასაცავად გამოვიდნენ აგრეთვე იუგოსლავიის, ავსტრალიის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

თუმცა საკითხი სავსებით ნათელი იყო და ალბანეთის დელეგაციას სრული უფლება ჰქონდა გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი, მაინც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ვიცე-ადმირალმა კონოლიმ სცადა მხარი დაეჭირა ბრიტანეთის დელეგატის პოზიციისათვის. მან განაცხადა, რომ წინააღმდეგი არ არის კომისიის სხდომაზე ალბანეთის დელეგაციის მოწვევისა, მაგრამ სურს წინადადება წამოაყენოს, რომ ამ დელეგაციის გამოსვლა გარკვეული საკითხების ფარგლებით შეიზღუდოს.

ამ წინადადებას, რომელიც მიმართული იყო ალბანეთის დელეგაციის უფლებათა შელახვისაკენ, წინააღმდეგობა გაუწია კომისიის წევრთა უმრავლესობამ. დამახასიათებელია, რომ ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციებიც კი ამჯერად დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატების წინადადებათა წინააღმდეგ გამოვიდნენ.

კომისიამ ხმის აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება მოესმინათ ალბანეთის დელეგაციისა სრულიად შეუზღუდავად.

დღეს ალბანეთის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ხისნი კაპომ კომისიის წევრებს წარუდგინა ალბანეთის თვალსაზრისი იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის სამხედრო მუხლებზე. ხისნი კაპომ აღნიშნა ის როლი, რომელსაც ფაშისტური იტალია ასრულებდა წარსულ ომში და, კერძოდ, ალბანეთზე თავდასხმაში, და განაცხადა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ალბანეთი იტალიის აგრესიის მსხვერპლი იყო. იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას ალბანეთის სუვერენიტეტი და თავიდან აცილებულ იქნას მომავალში იტალიის ექსპანსიის რაიმე ცდები, ალბანეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ ალბანეთის საზღვრების უშიშროების საუკეთესო გარანტია იქნება იტალიის შეიარაღების შეზღუდვა, — სთქვა ხისნი კაპომ.

მან აღნიშნა აგრეთვე ის გარემოება, რომ, როცა იტალიამ ალბანეთის ოკუპაცია მოახდინა, მან ხელში ჩაიგდო ალბანეთის მთელი სამხედრო მასალები და იარაღი. ალბანეთი თხოულობს გათვალისწინებულ იქნას ეს და საზავო ხელშეკრულების პროექტის 58-ე მუხლის შესაბამისად დაუბრუნდეს მას ის სამხედრო მასალები, რომლებიც ხელთ იგდო აგრესორმა. ამის უფლება ალბანელმა ხალხმა მოიპოვა ფაშისტ დამპყრობთა და დამმონებელთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით. საერთო მტერზე გამარჯვების საქმეში ალბანელი ხალხის მიერ შეტანილი წვლილი სავსებით უეჭველია.

ალბანეთის წარმომადგენლის შემდეგ გამოვიდა იუგოსლავიის დელეგატი ადმირალი მანოლა, რომელმაც სავსებით დაუჭირა მხარი მის პოზიციას.

ინგლისის დელეგატები განსაკუთრებულ პრივილეგიებს მოითხოვენ გემთმფლობელებისათვის

პარიზი, 14 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისია განაგრძობს რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის იმ დანართის განხილვას, რომელიც შეიცავს სპეციალურ დადგენილებას ზოგიერთი სახის საკუთრების შესახებ.

უკანასკნელი ორი სხდომის განმავლობაში კომისია განიხილავდა ინგლისის დელეგაციის წინადადებას იმის შესახებ, რომ აღნიშნულ დანართში შეტანილ იქნას სპეციალური კარი, რომელიც ნაოსნობას შეეხება. ისევე როგორც თავისი სხვა წინადადების შეტანისას, რომელიც სავაზღვევო საქმეს ეხება, ინგლისის დელეგაცია ამ წინადადებითაც ცდილობს განსაკუთრებული პრივილეგიური პირობების შექმნას უცხოელ მრეწველთა გარკვეული ჯგუფისათვის რუმინეთში, ამჯერად გემთმფლობელებისათვის.

ინგლისის წინადადება ეწინააღმდეგება იმ დადგენილებებს, რომლებიც უკვე მიღებულია რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 24-ე მუხლში; ამ უკანასკნელში გათვალისწინებულია, რომ გაერთიანებული ერებისა და მათი მოქალაქეების რუმინეთში არსებული საკუთრება უნდა დაბრუნებულ იქნას იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი ახლა იმყოფება. ამ პრინციპისაგან განსხვავებით ინგლისის დელეგაცია მოითხოვს, რომ დაზიანებული გემები შეკეთებულ იქნას, ხოლო დაღუპული გემები ახლებით შეიცვალოს. ამასთან რუმინეთის მთავრობამ გემების რემონტი ან აგება უცხოეთის ვერფებზე უნდა აწარმოოს, თუ მათი აგება და რემონტი თვით რუმინეთში შეუძლებელი აღმოჩნდება, ე. ი. მან კომპენსაცია უნდა გადაიხადოს უცხოეთის ვალუტით. გარდა ამისა, გემების გამოუყენებლობისა და მფლობელთა მიერ დაკარგული სარგებლობისათვის რუმინეთის მთავრობამ გემთმფლობელებს კომპენსაცია უნდა მისცეს. და ეს კომპენსირება უნდა მოხდეს მთელი იმ პერიოდისათვის, რაც ეს გემები რუმინეთის კონტროლქვეშ იყვნენ, იმ დროისთვისაც, როცა გემები მოკავშირეთა მთავარსარდლობამ გამოიყენა გერმანიის წინააღმდეგ ომში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გერაშჩენკომ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას ინგლისის წინადადება სრულიად მიუღებლად მიაჩნია, ვინაიდან გაუგებარია, რატომ უნდა ჩავაყენოთ გემების მფლობელები განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობაში გაერთიანებული ერების რუმინეთის ტერიტორიაზე არსებული სხვა საკუთრების მფლობელებთან შედარებით. მან მოაგონა კომისიის წევრებს, რომ, როცა მსჯელობა იყო იმ ზარალის კომპენსაციაზე, რაც გაერთიანებული ერების მოქალაქეთა ქონებას მიუყენდა, ბევრი დელეგაცია, მათ შორის ინგლისისაც, ხაზგასმით აღნიშნავდა იმ პრინციპს, რომ რუმინეთის მთავრობამ კომპენსაცია უნდა გადაიხადოს ადგილობრივი ვალუტით: ეს მიჩნეული იყო ერთგვარ შეღავათად რუმინეთისათვის. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ინგლისის დელეგაციამ პრინციპებზე ილაპარაკა, ახლა კი მზად არის დაივიწყოს ისინი, როცა საქმე გემთმფლობელების ინტერესებს ეხება. კომისიის მიერ განსახილველ ინგლისის პროექტს დართული აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დელეგაციების შენიშვნები. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ აუცილებლად არ მიაჩნიათ ასეთი დანართის შეტანა, თუ მიზანშეწონილად იქნება აღიარებული საზავო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას „გაერთიანებული ერების სასამართლოს" ცნების განსაზღვრა. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობდა, რომ ასეთი განსაზღვრა საერთოდ არ არის საჭირო, მაგრამ, როგორც აღნიშნა გერაშჩენკომ, თუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დელეგაციები დაჟინებით მოითხოვენ ამას, საბჭოთა დელეგაცია მზად არის განიხილოს ეს საკითხი, რაც შეეხება ინგლისის წინადადებას მთლიანად, იგი მიუღებელია, ვინაიდან სავსებით ეწინააღმდეგება დადგენილ პრინციპებს და იწვევს მრეწველთა გარკვეული ჯგუფისათვის უსაფუძვლო პრივილეგიების შექმნას.

საბერძნეთისა და ჰოლანდიის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ინგლისის წინადადებას.

ამ საკითხის შემდგომი განხილვა გადატანილია კომისიის შემდეგი სხდომისათვის.

ტრიესტის პრობლემის განხილვა

პარიზი, 14 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე გრძელდებოდა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის განხილვა. ეს საკითხი, გასაგები მიზეზებით, ამჟამად კონფერენციის მონაწილეთა მთავარ ყურადღებას იპყრობს.

პოლონეთის დელეგატ ვინევიჩის სიტყვა

პოლონეთის დელეგატმა ვინევიჩმა მხარი დაუჭირა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის იმ პროექტს, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა, აგრეთვე იუგოსლავიის დელეგაციის მიერ შეტანილ წინადადებებს. პოლონეთის წარმომადგენელი ამ შემთხვევაში იმოწმებდა დანციგის სავალალო გამოცდილებას, უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ საბოლოოდ ლიკვიდირებულ არ იქნა კავშირი თავისუფალ ქალაქ დანციგსა და გერმანიას შორის; ეს კავშირი ხელუხლებლად იქნა დატოვებული, რამაც გერმანელებს შესაძლებლობა მისცა გადაექციათ ქალაქი თავიანთი დანაშაულებრივი პოლიტიკის ასპარეზად. ვინევიჩი მოუწოდებდა განმეორებულ არ იქნას ასეთი შეცდომა ტრიესტის საკითხში და ლიკვიდირებულ იქნას მისი კავშირი იტალიასთან.

ტრიესტის მოსახლეობის ინტერესებისათვის, ისევე როგორც მშვიდობის ინტერესებისათვის, საჭიროა უაღრესად მჭიდრო კავშირი დამყარდეს ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიასა და იუგოსლავიას შორის. ქალაქის მომავალი განვითარება დამოკიდებულია მის ღრმა ზურგზე. ამიტომ ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიასა და იუგოსლავიას შორის უაღრესად მჭიდრო ეკონომიური კავშირი უნდა არსებობდეს. კომუნიკაციების ხაზები უნდა გადაეცეს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიისა და იუგოსლავიის მიერ დანიშნული ერთობლივი ადმინისტრაციის ჯგუფს, როგორც ეს გათვალისწინებულია საბჭოთა პროექტში. თავისუფალი ტერიტორიის ჯანსაღი განვითარების ინტერესებისათვის საჭიროა აგრეთვე დამყარდეს, რომ ტრიესტს იუგოსლავიასთან საერთო ფულის სისტემა ჰქონდეს. ქალაქის წარმატებითი განვითარებისათვის საჭიროა აგრეთვე თავისუფალი ტერიტორიის საბაჟო კავშირის დამყარება იუგოსლავიასთან.

შემდეგ პოლონეთის დელეგატი შეეხო იმ წინადადებას, რომ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის ადმინისტრაციას უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის უფლება მიეცეს. პოლონეთის დელეგაციის აზრით, ეს პრეროგატივა იუგოსლავიას უნდა გადაეცეს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას იმის საფრთხე, რომ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია გადაიქცევა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რაც უეჭველი საფრთხის შემქმნელი იქნება. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის გადაწყვეტა, თუ ვის ხელში იქნება ნავსადგურის ადმინისტრაცია.

უკრაინის სსრ დელეგატის პეტროვსკის სიტყვა

უკრაინის დელეგაციის წარმომადგენელმა პეტროვსკიმ განაცხადა, რომ ტრიესტის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ თავისუფალი ტერიტორიის სტატუტში მთელ რიგ დებულებათა შეტანას, რომლებითაც შესაძლებელი იქნება მისი ეკონომიური ცხოვრების განვითარების უზრუნველყოფა.

აქ მოიყვანეს ბევრი დამაჯერებელი არგუმენტი, რომლებიც შეეხებოდნენ ტრიესტის ეკონომიურ კავშირს მის ზურგთან და ამ კავშირის საარსებო მნიშვნელობას ტრიესტის ეკონომიკისათვის, — სთქვა უკრაინის წარმომადგენელმა. მეტად სავალალო იქნება, ტრიესტის ეკონომიკისა და მისი ვაჭრობისათვის ბარიერები და ხელოვნური დაბრკოლებები რომ შეიქმნას საბაჟო ტარიფების სახით. ამიტომ უკრაინის დელეგაცია ფიქრობს, რომ თავისუფალი ტერიტორიის სტატუტს უნდა დაემატოს პუნქტი იუგოსლავიის საბაჟო საზღვრის ფარგლებში მისი შეტანის შესახებ. უნდა დამყარდეს ტრიესტის საბაჟო უნია იუგოსლავიასთან, მსგავსად იმისა, როგორც ეს გათვალისწინებულია საფრანგეთის წინადადებით საარის შესახებ. ასეთ პირობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება ტრიესტისათვის. — იგი გააადვილებს მის სავაჭრო ურთიერთობას ბალკანეთის ქვეყნებთან და ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან. დასასრულ, საბაჟო უნია გააადვილებს ტრიესტის მრეწველობას თავისი პროდუქციის გასაღებას იუგოსლავიაში, ისევე როგორც გააადვილებს ტრიესტში იუგოსლავიიდან საქონლის შემოსვლას.

ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებაში ლაპარაკია ტრიესტის ადგილობრივი ვაჭრობისადმი მფარველობითს ღონისძიებებზე. მაგრამ ამ წინადადებას შეუძლია ხელი შეუწყოს მხოლოდ ადგილობრივ ვაჭრობას და ისიც ვიწრო ფარგლებში: იგი არ სწყვეტს საკითხს ტრიესტის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ მის ზურგთან. უკრაინის დელეგაცია ფიქრობს, რომ ტრიესტის ვაჭრობის განვითარებისათვის ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნება თავისუფალი ტერიტორიის საბაჟო უნიის დამყარება იუგოსლავიასთან და ტრიესტის შეტანა იუგოსლავიის საბაჟო საზღვრებში.

უკრაინის დელეგაციის მეორე წინადადება შეეხება ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის იმ რკინიგზების მმართველობის საკითხს, რომლებიც მას ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიასთან აერთებენ. უკრაინის დელეგაციის წინადადება შეიცავს, რომ ტრიესტის სტატუტში შეტანილ იქნას დებულება თავისუფალი ტერიტორიის რკინიგზების იუგოსლავიის რკინიგზებთან მჭიდრო ორგანული კავშირის შესახებ.

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის ეკონომიური ცხოვრების განმტკიცებას დიდად შეუწყობს ხელს იუგოსლავიასთან საერთო სამონეტო სისტემის დამყარება. საკმაო საფუძვლები არ არსებობს იმისათვის, რომ ტრიესტს თავისი ცალკე ფულის სისტემა ჰქონდეს. ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის ცალკე ფულის სისტემის კურსი მკვეთრად მერყევი იქნება და ამასთან დაკავშირებით ტრიესტის ეკონომიკის სტაბილიზაციაც შეუძლებელი აღმოჩნდება. ამიტომ უკრაინის დელეგაცია წინადადებას აყენებს ტრიესტის სტატუტში შეტანილ იქნას პუნქტი იუგოსლავიასთან საერთო სამონეტო სისტემის დამყარების შესახებ.

რაც შეეხება სტატუტის პოლიტიკურ მუხლებს, უკრაინის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია, რომ თავისუფალი ტერიტორიის საგარეო ურთიერთობის გაძღოლა და სხვა ქვეყნებში მის მოქალაქეთა დაცვა უზრუნველყოს იუგოსლავიის მთავრობამ.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მოლოტოვმა. მან ყოველმხრივ და ღრმად გააშუქა ტრიესტის პრობლემა. ცხადჰყო მისი კავშირი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებთან. საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა ცალკე გამოქვეყნდება.

დალნისა და პორტ-არტურის ჩინელმა მოსახლეობამ იდღესასწაულა იაპონიაზე გამარჯვების წლისთავი

ქალაქ დალნის 200 ათასმა ჩინელმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა იაპონიაზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საერთო საქალაქო მიტინგში. მიტინგის მონაწილეებმა ითხოვეს, რომ ამხანაგ სტალინს გადაეცეს ქალაქ დალნის მცხოვრებთა წერილი, რომელიც ამოქარგულია 100 მეტრი სიგრძის აბრეშუმის მატერიაზე. „დღეს, — ნათქვამია წერილში, — დიადი გამარჯვების დღეს, 3 სექტემბერს, ჩვენ, თავისუფალ ქალაქ დალნის მცხოვრებნი, გულითადი მადლობითა და უსაზღვრო პატივისცემით გიძღვნით წითელ დროშაზე დაწერილ ამ წერილს. ჩვენ, ქალაქ დალნის მცხოვრებლებმა, ყველამ!, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, ვიცით, რომ თქვენი სიბრძნე და შეიარაღებული ძალებისადმი ხელმძღვანელობის საუცხოო ხელოვნება რომ არა, შორეულ აღმოსავლეთში წითელი არმიის გამოსვლა რომ არა, არ იქნებოდა „22 აგვისტო" — პორტ-არტურისა და დალნის განთავისუფლების დღე, არ იქნებოდა „3 სექტემბერი" — იაპონიაზე სრული გამარჯვების დღე, არ მოხდებოდა ჩვენი ხსნა ორმოცი წლის მონობის ბორკილებიდან, არ გვექნებოდა ახლანდელი მშვიდობიანი, დემოკრატიული და თავისუფალი ცხოვრება. ჩვენ ღრმად შევიგნეთ, რომ საბჭოთა კავშირი ჩინელი ხალხის ყველაზე ერთგული მეგობარია, და ამიტომ გვსურს სულით და გულით მოგიძღვნათ თქვენ და საბჭოთა ხალხს ეს საჩუქარი, აგრეთვე გამოვთქვათ მადლობა თქვენდამი და გმირი წითელი არმიისადმი". წერილს ხელს აწერს ქალაქ დალნის 200 ათასამდე მცხოვრები, რომლებმაც იგი განიხილეს ქალაქის სხვადასხვა რაიონებში შემდგარ მრავალ მიტინგზე.

ამ წერილის გარდა დალნის მცხოვრებლებმა ითხოვეს გადაეცეს ჩინელი ხალხის დიდ მეგობარს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს ვერცხლის დაფა წარწერით „ქალაქ დალნის ნავსადგურისა და რკინიგზის მტვირთავთა პროფკავშირისაგან", აგრეთვე ოთხი აბრეშუმის შტანდარტი ქალაქის მუშებისა და მოსწავლეებისაგან.

პორტ-არტურში წითელი არმიის მიერ ქალაქის განთავისუფლების პირველი წლისთავის დღეს შედგა ჩინელი მოსახლეობის ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე ქალაქის თვითმმართველობის, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისა და დემოკრატიული ლიგის სახელით ჩინელი მოსახლეობის წარმომადგენლებმა, საბჭოთა სარდლობის წარმომადგენლის მეშვეობით, ამხანაგ სტალინის სახელზე გადასცეს ძღვენი — ვერცხლის დაფა ზედ ამოჭრილი ნახატებითა და სამადლობელი წარწერით. (საქდესი).

ტრუმენის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 12 სექტემბერი. (საქდესი). ტრუმენმა პრეს-კონფერენციაზე უპასუხა შეკითხვას, გამოხატავს თუ არა უოლესის გამოსვლა ტრუმენის პოლიტიკას, და განაცხადა, რომ იგი იწონებს უოლესის გამოსვლას მთლიანად. კითხვაზე, მიაჩნია თუ არა მას, რომ უოლესის გამოსვლა წარმოადგენს ბირნსის პოლიტიკიდან გადახვევას, ტრუმენმა უარყოფითად უპასუხა და დასძინა, რომ ისინი სავსებით შეესაბამებიან ერთმანეთს.

ვაშინგტონი, 14 სექტემბერი. (საქდესი). 14 სექტემბერს საღამოს ტრუმენმა მოიწვია სპეციალური პრეს-კონფერენცია, რომელზედაც განაცხადა, რომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში და რომ მის მიერ წინათ გაკეთებული განცხადებანი ვაჭრობის მინისტრ უოლესის მიერ 12 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვის მოწონების შესახებ, სწორად არ იყო გაგებული. „მე განზრახვა მქონდა, — სთქვა ტრუმენმა, — გამომეთქვა ის აზრი, რომ მოვიწონე ვაჭრობის მინისტრის უფლება წარმოეთქვა სიტყვა. მე არ მსურდა იმის თქმა, რომ მოვიწონე ეს სიტყვა როგორც განმსაზღვრელი განცხადება შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესახებ. ჩვენი მთავრობის მიერ დამყარებულ საგარეო პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ამ პოლიტიკაში არ მოხდება არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება პრეზიდენტსა, სახელმწიფო მდივანსა და კონგრესის ლიდერებს შორის განხილვისა და თათბირის გარეშე".

პრეზიდენტმა ტრუმენმა ეს განცხადება გააკეთა სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელ კლეიტონთან თათბირის შემდეგ.

დელასი ამერიკის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საქდესი). ჟურნალ „სოვიეტ რაშა ტუდეიში" დაბეჭდილ სტატიაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრი დელასი (დემოკრატი, ვაშინგტონის შტატი) აკრიტიკებს ამერიკის პოლიტიკას ჩინეთში და აღნიშნავს, რომ ეს პოლიტიკა მხარს უჭერს ჩინეთის რეაქციას იმ მიზნით, რომ ამერიკის ეკონომიური ინტერესებისათვის უზრუნველყოს გაბატონებული პოზიციები. დელასი სწერს, რომ ჩინეთის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის გამოუქვეყნებელ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჩინელმა კომუნისტებმა უეჭველად გამოიჩინეს თავი, როგორც ჩინელი გლეხების თანმიმდევარმა დამცველებმა. კომპარტიის პროგრამას წარმოადგენს საიჯარო ქირის შემცირება, გადასახადით პროგრესული დაბეგვრის შემოღება, წარმოებისათვის დახმარების გაწევა, კოოპერატივებისათვის ხელის შეწყობა, ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შექმნა... გომინდანის პოლიტიკა იცავს შემოსავლებსა და მიწის საკუთრებას.

დელასი აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა წარმოადგენს „ძველი მოდის იმპერიალიზმის" პოლიტიკას, „რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებდა რუზველტი.

ამერიკელ სომეხთა მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. (საქდესი). სომეხთა ეროვნული საბჭო ამერიკაში განაგრძობს ენერგიულ კამპანიას თურქეთის უღლისაგან სომეხთა მიწა-წყლის განთავისუფლებისა და სომეხთა რეპატრიაციის დახმარებისათვის სახსრების შესაგროვებლად. საბჭომ გამოუშვა ბროშურა „რა სურთ სომხებს?", რომელშიც მოცემულია სომხეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვა უძველესი დროიდან. ბროშურაში აღნიშნულია სომეხთა გმირული ბრძოლა თავიანთი რესპუბლიკის შესაქმნელად და აღწერილია საბჭოთა სომხების საგმირო საქმეები მეორე მსოფლიო ომის დროს. ბროშურა აღნიშნავს, რომ საბჭოთა სომხეთი ამჟამად აყვავებული ქვეყანაა, მაგრამ მას მიწები ოდნავ ჰყოფნის მოსახლეობისათვის, მაშინ როდესაც თურქთა მიერ მიტაცებული სომხეთა მიწები ამჟამად უდაბური და უკაცური არიან. ბროშურაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ სომხები მოითხოვენ მხოლოდ სამართლიანობას — უძველესი სომხური მიწების შეერთებას.

მექსიკის პრეზიდენტად აირჩიეს ალემანი

ნიუ-იორკი, 15 სექტემბერი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მექსიკოდან გადმოგვცემს, რომ მექსიკის დეპუტატთა პალატამ ოფიციალურად გამოაცხადა პრეზიდენტად ალემანის არჩევა. ალემანი პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს 1 დეკემბერს.

საბერძნეთის ხელისუფალნი იარაღით ამარაგებენ ხიტოსების ბანდებს

ათენი, 15 სექტემბერი. (საქდესი). სალონიკიდან მიღებული ცნობებით, სამხედრო სასამართლომ იარაღის უკანონოდ შენახვისათვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანა ელასის ყოფილ მებრძოლს ფილისს, რომლის სახლშიც იპოვეს ძველი რევოლვერი. ამავე დროს ფაშისტური ორგანიზაციის „ხ"-ს წევრები, ეგრეთწოდებული ხიტოსები და ახლანდელი მთავრობის სხვა მომხრეები, ბევრ სოფელსა და ქალაქშიც კი აშკარად ატარებენ იარაღს და ღებულობენ საომარ მასალას არმიისა და ჟანდარმერიის საწყობებიდან.

გაზეთმა „ვიმამ" გამოაქვეყნა ლეიტენანტ ბოტონაკისის წერილი, რომელიც მოწმობს, რომ საბერძნეთის ხელისუფალნი ხიტოსებს იარაღით ამარაგებენ.

„მე ვმსახურობ ქალაქ კალამატის მომარაგების მთავარი ბაზის სამეურნეო ნაწილის უფროსად. — ნათქვამია წერილში.—ამა თვის 16 რიცხვში ღამით კორინთიდან მოვიდა სამხედრო სატვირთო მანქანა, რომელმაც მომიტანა ათასი ჯარისკაცის საბანი. ტვირთის მომტანებმა ჩამაბარეს ორი ჩვეულებრივი ზედნადები. ერთ-ერთ მათგანში აღნიშნული იყო 5 ათასი ვაზნა იტალიური და 5 ათასი ინგლისური თოფებისთვის, აგრეთვე მილსის 12 გრანატა. იტალიურ ვაზნებს არასოდეს არ ხმარობდნენ ჯარები კალამატაში, როცა მე შევეკითხე, სად არის ზედნადებში აღნიშნული საომარი მასალა, ჯარისკაცებმა განმიცხადეს, რომ მათ ეს მასალა ჩააბარეს ხიტოსებს კალამატის მახლობლად და რომ იგი მიიღო ვინმე ბატუნასმა, რომელიც თან ახლდა სატვირთო მანქანას კორინთიდან".

შემდეგ ლეიტენანტი ბოტონაკისი თავის წერილში იუწყება, რომ ამ შემთხვევის შესახებ მან უპატაკა თავის უფროსს პოლკოვნიკ როგოპულოს, ხოლო მან ეს პატაკი დაგზავნა სათანადო ინსტანციაში, მაგრამ არავითარი ზომა არ ყოფილა მიღებული. მე ვიცი, სწერს ლეიტენანტი ბოტონაკისი, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ მომკლავენ, მაგრამ მე არ მსურს ვიყო შუამავალი ხიტოსების იარაღით მომარაგებაში. მართლაც, ამ წერილის გაგზავნის მეორე დღეს, ჯერ კიდევ მის გამოქვეყნებამდე, ბოტონაკისი მოკლეს ხიტოსებმა. ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ხელისუფალთ, ცხადია, არავითარი ზომები არ მიუღიათ.

აგვისტოში ათენის ერთ-ერთ დიდ კინოთეატრში გამართა „ხ" ორგანიზაციის ხელმძღვანელთა კრება, რომელზეც განხილულ იქნა ორგანიზაციის უკლებლივ ყველა წევრის შეიარაღების საკითხი. კრებას „წესრიგის დასაცავად" პოლიციელები ესწრებოდნენ.

ჩხრეკა გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ და ინგლისურ ზონებში

ლონდონი, 14 სექტემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება, ინგლისელებისა და ამერიკელების მიერ მოწყობილი ჩხრეკით იმისათვის, რომ აღმოეჩინათ დამალული ოქრო და ძვირფასი ქვები, დღემდე ნაპოვნია 35 მილიონი დოლარის ძვირფასი ქვები გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში და რამდენადმე მეტი— ოკუპაციის ინგლისურ ზონაში. ინგლისურ ზონაში დაპატიმრებულია 35 კაცი. დაპატიმრებანი მოხდა ამერიკულ ზონაშიც.

ტრიუგვე ლის განცხადება

ლონდონი, 13 სექტემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ გუშინ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 51 წევრიდან უმრავლესობამ აზრი გამოთქვა იმის სასარგებლოდ, რომ გენერალური ასამბლეის სესია გადაიდოს 23 ოქტომბრამდე.

ინდონეზიელებისათვის შექმნილი ჰოლანდიური ბანაკის პატიმართა დახვრეტა

ლონდონი, 14 სექტემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება, ჰოლანდიის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა, რომ 12 სექტემბერს ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩაქრობილ იქნა რამდენიმე ასეული ინდონეზიელის აჯანყება პატიმართა ჰოლანდიურ ბანაკში კასინოში (ცესტრალეა); ამასთან ერთი ინდონეზიელი პატიმარი სოერდო მოკლულ იქნა, ორი სხვა დაიჭრა. სოერდო, რომელიც ტყვიით ცამეტგან იყო დაჭრილი, მოკვდა სიტყვებით: „გაუმარჯოს ინდონეზიის რესპუბლიკას!".

ბანაკში მყოფ 500 ინდონეზიელ პატიმართა მეტი წილი, — განაგრძობს კორესპონდენტი,— ინდონეზიელი აჯანყებულებია.

საჭადრაკო მატჩი სსრ კავშირი-ამერიკის შეერთებული შტატები

საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვება

16 სექტემბერს, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოხდა მატჩის ოთხი დაუმთავრებელი პარტიის გათამაშება. სანახავად შეიკრიბა მრავალი მაყურებელი.

მაესტრო ბრონშტეინმა გაუთამაშებლივ დასთმო მეორე ტურის თავისი პარტია ულვესტადთან. ბონდარევსკის დიდხანს არ გაუწევია წინააღმდეგობა პარტიაში ამერიკელ მაესტრო კევიცთან. ამ უკანასკნელის უპირატესობა მეტად დიდი იყო და მას შემდეგ, რაც კევიცის გამსვლელი პაიკები წინ დაიძრნენ, ბონდარევსკი დანებდა.

საყოველთაო ინტერესი გამოიწვია რეშევსკი-ბოტვინიკის პარტიის დამთავრებამ. გადადებულ პოზიციაში ბოტვინიკს ჰქონდა ხარისხი პაიკის წინააღმდეგ, მაგრამ პარტიის მოგება ადვილი არ იყო. ზუსტი მანევრირებით ბოტვინიკმა ბოლოს შესძლო თავისი უპირატესობის განხორციელება და 59-ე სვლაზე რეშევსკი დანებდა.

მესამედ მოხდა პირველი ტურიდან გადადებული ულვესტად-ბრონშტეინის პარტიის გათამაშება. საერთო რაოდენობით ეს პარტია გაგრძელდა დაახლოებით 15 საათს და 118-ე სვლაზე დამთავრდა ბრონშტეინის გამარჯვებით.

ამრიგად, მატჩში გათამაშებული ოცი პარტიიდან საბჭოთა გუნდმა მოიგო 8 პარტია, 9 ყაიმით დამთავრდა და 3 წააგო. სსრ კავშირის გუნდმა მატჩის პირველი ტური მოიგო ანგარიშით 7:3, მეორე ტური ანგარიშით 5,5:4,5. მატჩის საერთო ანგარიშია 12,5:7,5 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ. (საქდესი).

სოფლის მოსახლეობის მხატვრული მომსახურება

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, 1946 წლის 1 ოქტომბრიდან 1947 წლის 1 აპრილამდე, მოსკოვის თეატრების მსახიობები, ფილარმონიებისა და სრულიად საკავშირო საგასტროლო ბიუროს სოლისტები გამოვლენ კონცერტებში, რომლებიც სოფელ ადგილებისა და რაიონული ცენტრების მოსახლეობისათვის მოეწყობა. სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკური და საოლქო თეატრი გამოჰყოფს მსახიობებს საკონცერტო ბრიგადებში. დიდდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თეატრების უშუალოდ სოფლად გასვლის რაოდენობა.

საოლქო მხატვრული მუზეუმები მოამზადებენ მოძრავ გამოფენებს რაიონული კულტურის სახლებისათვის, მოაწყობენ პოპულარულ ლექციებსა და საუბრებს სახვითი ხელოვნების უდიდესი ოსტატების შესახებ. ქალაქებიდან რაიონებში გაემგზავრებიან მსახიობები, მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები, დრამატურგები და მხატვრები სოფლის მოსახლეობასთან შემოქმედებითი შეხვედრების მოსაწყობად და მხატვრული თვითმოქმედებისათვის დახმარების გასაწევად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელიც გადასინჯავს და შეარჩევს სოფლისათვის გამოსაცემად განკუთვნილ საუკეთესო მუსიკალურ, დრამატიულ და საესტრადო ნაწარმოებებს. (საქდესი).

ელექტროსადგური სავსებით ავტომატიზებულია

ტაშკენტის მახლობლად, მდინარე ბოზ-სუზე დამთავრდა ახალი ჰიდროელექტროსადგურის აკ-კავაკ-2 მშენებლობა. ეს სადგური ენერგიას მიაწვდის ტაშკენტის ოლქის სამრეწველო საწარმოებს.

მდინარე ბოზ-სუზე ელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ვ. გ. თენოვმა, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა, საქდესის კორესპონდენტს აცნობა:

— ელექტროსადგურის აკ-კავაკ-2 დამახასიათებელი თვისება არის მისი მართვის სრული ავტომატიზაცია. მოწყობილობის მთელი კომპლექსის — ტურბინების, გენერატორების, ზეთის გამომრთველების, კომპრესორების, აკუმულატორების — მუშაობას რეგულირება სწარმოებს სპეციალური მოწყობილობით ტელემართვის პრინციპის მიხედვით.

მართვის ერთიანი სადისპეტჩერო პუნქტი მდებარეობს სადგურიდან რვა კილომეტრზე, მეზობელ ჰიდროელექტროსადგურში. ამ პუნქტიდან სადისტანციო მოწყობილობათა ექსპლოატაცია უკვე რამდენიმე დღეა სწარმოებს. მთელი მოწყობილობა კარგად მუშაობს.

ამჟამად ელექტროსადგურის კოლექტივი ითვისებს ავტომატური მართვის სქემას, რის შემდეგაც სამანქანო დარბაზი დაიხურება. აგრეგატების მთელი მუშაობა იწარმოებს მორიგე მომსახურე პერსონალის დაუხმარებლად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

18 სექტემბერს: **სახელმწიფო ოპერა** — „ქეთო და კოტე". **რუსთაველის სახელობის** — „ოლეკო დუნდიჩი". **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოკვეთილი". **გრიბოედოვის სახელობის** — „ასეც იქნება". **სომხური** — „სომეხი ქალი". **ახუნდოვის სახელობის** — „ვისი ქორწილია?" **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ბაღნარში".

კინოებში

18 სექტემბერს: **რუსთაველის სახელობის და კომკავშირელი** (საზაფხულო და ზამთრის)— „დავით გურამიშვილი". **დამკვრელი** (საზაფხულო) — „უჩინარი იანი", (ზამთრის) — „რაიკომის მდივანი". **სპარტაკი** — „ოთხთა გული". **ლუქსემბურგის სახელობის** — „მშვენიერი ვასილისა". **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — „გავრიში", (ზამთრის) — „სპილოების პატარა მწყემსი".

მოქალაქე **მარიამ ლეონიდეს-ასულმა სმირნოვამ**, მცხოვრებმა პასტერის ქ. № 5, აღძრა საქმე პეროვის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე **მირიან ტერენტის-ძე ლატარიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საფინანსო მუშაკთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური კურსები ა. წ. 1 ოქტომბრიდან ქ. თბილისში ხსნის ბუხჰალტერთა მოსამზადებელ 6 თვიან ჯგუფებს. მეცადინეობა იწარმოებს ქართულ ენაზე. შემსვლელთათვის აუცილებელია საშუალო განათლება. ჩარიცხული მსმენელები მომარაგებული იქნებიან მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მუშებისათვის დადგენილი ნორმებით. პირობების გაგება შეიძლება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კადრების განყოფილებაში 3-დან 5 საათამდე. მისამართი: კეცხოველის ქ. № 7.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კადრების განყოფილება.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა აცხადებს მოწაფეთა მიღებას კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად შემდეგ სპეციალობათა მიხედვით: ხარატები, ზეინკლები, მრანდავები, მჩარხავები, მერადიატორეები და მეთუნუქეები.

მომზადება სწარმოებს ინდივიდუალური წესით 2-3 თვის განმავლობაში. მიიღებიან 14 წლისა და მეტი ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი. მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და მომარაგებით ქარხნის მუშების თანაბრად.

მსურველებმა უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის რაიონი, მექანიზაციის ქ. № 1.

ოჯახი იუწყება **ელისაბედ ზაქარიას-ასულ ლამბაშიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19/IX, 5 ს. ქუთათელაძის, 17.

დათიკო პურადაშვილი ოჯახით იუწყება **მარიამ (მარუსია) ლორთქიფანიძე-პურადაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19, 20/IX, 7 ს. გამოსვენება 21/IX, 6 ს. პეროვსკაიას, 10.

მშობლები ნინო და იოსებ ბეგიაშვილები, მეუღლე ილია ყაჭიური შვილით იუწყებიან **ლოლა ბეგიაშვილი-ყაჭიურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18/IX, 7 ს. გამოსვენება 19/IX, 5½ ს. არაგვის, 15.

შოთა მაჭავარიანი იუწყება **კონსტანტინე სიმონის-ძე მახარაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18/IX, 7 ს. გამოსვენება 19/IX, 5½ ს. ლესას შესახვევი, 30.

თბილისის რაიონის განათლების განყოფილების თანამშრომლები და მასწავლებლები იუწყებიან სიმონ ჭელიძის დისწულის **ცოლა ალექსანდრეს-ასულ სამხარაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგეისა და გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უუ 09687